მრავალეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 ივნისი 2004 №125 (2144) ფასი 50 თეთრი

რევოლუციის რეპეტიცია

კლუბი ცოტა და ფულიანი თამაში ხარისხიანი!

2004-05 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში მეორე ეტაპი და ექვსეულები აღარ იქნება. 12 გუნდი ოთხ წრედ ითამაშებს, ანუ ჩემპიონატში 44 ტური გაიმართება.

სეზონის ბოლოს უმაღლესი ლიგიდან სამი გუნდი პირდაპირ გავარდება, ერთიც, მერვეადგილოსანი, პირველი ლიგის მეორეადგილოსანს პლეი ოფში შეხვდება. პირველი ლიგიდან კი უმაღლესის საგზურს უპლეიოფოდ მხოლოდ ერთი გუნდი მოიპოვებს. ანუ, 2005-06 წლების სეზონში უმაღლესი ლიგა 10-გუნდიანი იქნება.

REUTERS ლონდონიდან

გუშინ დიდი გარიგება დასრულდა: „ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა და ჟოზე მაურინიუმ ხელი ხელს დაჰკრეს

ჩრდილოეთის ფული სამხრეთის თავებს ქიდულობს

ძალიან უცნაური ზაფხული მოდის. სატრანსფერო ბაზრის გამო მოგახსენებთ და არა ამინდისა.

წინა ზაფხულებიც უცნაური იყო, მაგრამ მაინც ერთგვაროვანი. ანუ, სეზონი დასრულდებოდა თუ არა, კლუბები ომში ებმებოდნენ ფეხბურთელების გამო და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ ვისში მეტს გადაიხდიდა. სახელები კი იყო სხვადასხვა, მაგრამ ტენდენცია იყო ერთნაირი — ყოველ ზაფხულს დიდი სახელის მქონე ფეხბურთელები დიდ ფულად დიდ კლუბებში გადადიოდნენ.

ცხადია, ამ ზაფხულსაც იქნება რაღაც მოძრაობები. ისევ იმოძრავებს დიდი ფული ერთი დიდი კლუბის ჯიბიდან მეორისაში, მაგრამ განსხვავება — თვალშისაცემი განსხვავება ის არის, რომ ეს ზაფხული მწვრთნელების ზაფხულია.

მოდით, ჩამოვთვალოთ: ფაბიო კაპელო „იუვენტუსში“ წავიდა; ფელიქს მაგათი „ბაიერნში“ მივიდა; „რეალმა“ კეირუში გაუშვა და კამაჩოს დაუძახა; ჟოზე მაურინიუმ „ჩელსიში“ კლაუდიო რანიერი შეცვალა; რანიერი თავის მხრივ „ვალენსიაში“ ბრუნდება, საიდანაც რაფაელ ბენიტესი „ლივერპულში“ აპირებს გადასვლას.

აბა, თუ გახსოვთ, წინა წლებში განთქმული მწვრთნელების დიდ კლუბებში ამდენი მისვლა-მოსვლა?!

ამიტომაც, შემოდგომისთვის, საზაფხულო სატრანსფერო ბაზრის გარიგებებს რომ გავარჩევთ, ვინძლო, პირველ რიგში მწვრთნელთა ტრანსფერები მოგვხვდეს თვალში. და საერთოდაც, მგონი, ევროპაში ახალი ტენდენცია მკვიდრდება. ფეხბურთელებში დიდ ფულს რომან აბრამოვიჩაღა თუ გამოდის.

გაუჩოგნავი გაუჩოები

ეს პარიზი სულ ამ არგენტინელებისა ყოფილა! „როლან გაროსის“ დედა-თიხას გაუჩოების ასეთი შემოსევა არ ახსოვს. კი, მადამ! ასეა, მუსიე, არგენტინელებს თიხაზე თამაში ჩოგანწიფებათ, მაგრამ ნახევარფინალში სამი არგენტინელი?! ასეთი რამ კულტურულ პარიზს არ ახსოვს. გილერმო კორიასგან 1998 წლის ჩემპიონის კარლოს მოიას დაჩოგნვა გუშინწინდელი ამბავია, გუშინ კი კორიას კვალად კიდევ ორმა მისქვეყნელმა იმარჯვა — დავიდ ნალბანდიანმა „როლან გაროსის“ სამგზის ჩემპიონი გუსტავო კუერტენი 6:2, 3:6, 6:4, 7:6 დაამარცხა, საერთოდ განუთესავმა და ბევრისგან სადღაც შუა წრეებში გასავარდნ კაცად ჩათვლილმა გასტონ გაუდიომ კი სეტისდაუთმობლად — 6:3, 6:3, 6:2 გააქცია ლეიტონ ჰიუიტი. აწი არც არგენტინული ფინალი გაგვიკვირდება — ნალბანდიანი ერთ ნახევარფინალურ შეხლაში გაუდიოს გადაუჯვარედინებს ჩოგანს, მეორეში კი პატარა, მაგრამ მტკიცე კორიას სწორედაც რომ სასურველი მეტოქე შეხვდა — ბრიტანელი ტიმ ჰენმანი საზოგადოდ მარჯვე ბიჭია და მშვენიერ ფორმაშიც გახლავთ, თუმცაღა თიხაზე ის არგენტინელებივით მყარად ვერ დგას.

REUTERS პარიზიდან

„როლან გაროსის“ სამგზის ჩემპიონი გუსტავო კუერტენი დავიდ ნალბანდიანმა გამოაგდო

მომავლის სტრუქტურა: ინფრასტრუქტურა

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში წინასაკონფერენციო მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ლიგის მესვეურების გარდა უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა კლუბის წარმომადგენელი დაესწრო. კონფერენციაზე, რომელიც 18 ივნისს ჩატარდება, მომდევნო ორ სეზონში უმაღლესი და პირველი ლიგების ახალ ფორმატებს დაამტკიცებენ, გუშინდელ მოსამზადებელ შეხვედრაზე კი ვარიანტებზე იმსჯელეს.

რევოლუციის რეპეტიცია

კლუბი ცოტა და ფულიანი თამაში ხარისხიანი!

ფაქტობრივად გადაწყვეტილია და დამტკიცებალა სჭირდება ასეთ გეგმას:

2004-05 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში მეორე ეტაპი და ექვსეულები აღარ იქნება. 12 გუნდი ოთხ წრედ ითამაშებს, ანუ ჩემპიონატში 44 ტური გაიმართება.

სეზონის ბოლოს უმაღლესი ლიგიდან სამი გუნდი პირდაპირ გავარდება, ერთიც, მერვეადგილოსანი, პირველი ლიგის მეორეადგილოსანს პლეი ოფში შეხვდება. პირველი ლიგიდან კი უმაღლესის საგზურს უპლეიოფოდ მხოლოდ ერთი გუნდი მოიპოვებს. ანუ, 2005-06 წლების სეზონში უმაღლესი ლიგა 10-გუნდიანი იქნება.

ცვლილებებია პირველ ლიგაშიც. ახლახან დასრულებულ სეზონში პირველი ლიგიდან რეგიონალლიგაში ხუთი გუნდი უნდა გავარდნილიყო, პირველ ლიგაში კი მხოლოდ სამი აღზევებულიყო, ანუ 2004-05 წლების სეზონში პირველი ლიგა 14-გუნდიანი უნდა ყოფილიყო. 18 ივნისის კონფერენციაზე კი დასამტკიცებლად გაიტანენ პროექტს, რომლის თანახმადაც, პირველ ლიგაში ისევ 16 გუნდი ითამაშებს და გავარდნილი ხუთი გუნდიდან ორი საუკეთესო ისევ პირველ ლიგაში დარჩება. ასეთები თბილისის „ამერი" და ხაშურის „იველია" არიან.

აქვე დავძინოთ, რომ რეგიონალლიგიდან პირველ ლიგაში აღზევდნენ ჭიათურის „მაღაროელი", ბორჯომის „თორი" და თელავის „კახეთი".

ერთხელაც ვთქვათ, რომ ეს ყველაფერი ჯერჯერობით პროექტია და 18 ივნისს უნდა დამტკიცდეს, თუმცა ნაკლებადმოსალოდნელია, ამ პროექტში რამე შეიცვალოს. ერთ რამეს კი პროფლიგის მესვეურები ახლავე გადაჭრით ამბობენ — კლუბი, რომელსაც სათანადო ინფრასტრუქტურა და ფინანსური გარანტიები არ ექნება, უმაღლეს ლიგაში არ ითამაშებს.

ისე კი, კითხვები ბლომადაა დარჩენილი. რამდენი გუნდი გავარდება 10-გუნდა უმაღლესი ლიგიდან? ან, თუ უმაღლესი ლიგის ერთმა ან რამდენიმე კლუბმა ფინანსური გარანტია ვერ წარადგინა და პირველ ლიგაში დააქვეითეს, ხოლო ასეთი გარანტიის წარმომდგენი ვერც პირველ ლიგაში მოიძებნა, მაშინ რამდენგუნდიანი იქნება უმაღლესი და პირველი ლიგები?

ერთი სიტყვით, ყველაფერი საბოლოოდ მოფიქრებული არ არის, თუმცა გუშინდელი შეხვედრა, როგორც ვთქვით, მოსამზადებელი იყო და არ არის სავალდებულო, ყველა დეტალი გუშინვე დაზუსტებულიყო. მაგრამ იმედია, 18 ივნისს კითხვები აღარ გაჩნდება.

კობა ინასარიძე

ზესტაფონში დიდი ამბებია.
საქართველოს ნაკრების სპონსორმა, სააქციო საზოგადოება „ფერომ", რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელი ინდუსტრიული „დეკომეტალია", ზესტაფონის „მეტალურგის" პატრონობა ითავა და გუნდის გასაკეთებლად პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა

ზესტაფონელებს ხმაში მეტალი გაერიათ

იქმნება ახალი მეტალურგი

„მეტალურგის" მწვრთნელად დაინიშნა უკრაინული წარმოშობის მოლდოველი... ნუ გაიკვირვებთ, გუშინ ამ მწვრნელის სახელის მთქმელი ზესტაფონში კაცი ვერ ვნახეთ. იმერელთა ახალი თავკაცი ადრე მოლდოვის უპირველეს კლუბს, ტირასპოლის „შერიფს" წვრთნიდა და გუნდი ერთხელ აჩემპიონა კიდეც.

მეტალურგის ახალმა თავკაცმა გუშინ გუნდის ახალგაზდა ფეხბურთელები საქმეში ნახა და მოიწონა. მერე გუნდის მესვეურთ წვრილ-წვრილი შენიშვნები მისცა და თბილისში წამოვიდა. მოლდოველი საქართველოდან ხვალ-ზეგ მიემგზავრება, უკან კი 20 ივნისს უნდა დაბრუნდეს.

იქამდე კი... მწვრთნელის თანაშემწის, „მეტალურგის" აწ უკვე ყოფილი თავკაცის ზაურ ჩუბინიძის თქმით, დღეიდან დაიწყება „მეტალურგის" სტადიონის მთლიანი რეკონსტრუქცია და ზესტაფონის სტადიონი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ჩვენში.

კლუბის უფროსობამ უკვე დაიწყო მოლაპარაკებები რამდენიმე ისეთ ფეხბურთელთან, რომელთა სახელებიც ქომაგისთვის ნაცნობი უნდა იყოს: ზესტაფონელებმა თავიანთ ყოფილი ფეხბურთელებისგან, ბოლოს ლანჩხუთს „გურიაში" მოთამაშე მეკარე რაჟდენ მერკვილივშილისგან და ნახევარმცველ გოჩა სულაკაძისგან „მეტალურგში" დაბრუნებაზე თანხმობა უკვე მიიღეს, ბოლო ხანს ბულგარეთში მოთამაშე, ამჟამად უგუნდო ლევან შავგულიძისგან კი პასუხს უახლოეს დღეებში ელიან. ამათ გარდა, ზესტაფონელებს ათამდე ფეხბურთელის გადაბირებაც სურთ, რომელთა ვინაობაც ჯერჯერობით უცნობია.

„მეტალურგის" ახალ მწვრთნელს ჩაფიქრებული აქვს ზესტაფონში ფეხბურთელების მოლდოვიდან ჩამოყვანაც. თუმც ეს ამბავი ჩემპიონატში „მეტალურგის" ადგილზეა დამოკიდებული. მოგეხსენებათ, გუნდი წლეულს პირველი ლიგიდანაც გავარდა და გაისად რეგიონალლიგაში უნდა ითამაშოს. კლუბის ხელმძღვანელთა ამბიციას კი რეგიონალლიგა ვერ აკმაყოფილებს და ამიტომაც ცდილობს პირველ ლიგაში ადგილის გამოძებნას. საამისოდ ზესტაფონელებს უკვე რამდენიმე გაჭირვებულ პირველლიგელთან გაუბამთ მოლაპარაკება.

და კიდევ, სტადიონის რეკონსტრუქციის პარალელურად „მეტალურგის" ხელმძღვანელობა კლუბის საწვრთნელი ბაზისთვის ტერიტორიასაც ეძებს.

კობა ინასარიძე

გორში საერთაშორისო დილა თენდება

„ვიტ ჯორჯია" - „სიონის" ხათაბალამ, ანუ ბოლნისელთა ევროდისკვალიფიკაციამ საევროპოდ გამზადებულ ქართულ კლუბებში მნიშვნელოვანი გადაადგილებები გამოიწვია. ინტერტოტოს საგზურზე თამაშის მოსურნე „თბილისს" უკეთესი პერსპექტივა ანუ უეფას თასზე თამაშის შანსი გაუჩნდა და ახლა ამ კლუბს ინტერტოტოზე ჩემპიონატში მეექვსე ადგილზე გასული გორის „დილა" ჩაენაცვლება (მეხუთეადგილოსანმა „ლოკომოტივმა" ინტერტოტო იუარა). ეს ფაქტი გორელთა თავკაცმა **ზურაბ ხორგუაშვილმაც** დაგვიდასტურა, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

— უკვე გადაწყვეტილია, „დილა" ინტერტოტოზე ითამაშებს და საამისოდ თადარიგიც დავიჭირეთ.

— ინტერტოტო თქვენი გუნდისთვის საკმაოდ მოულოდნელი ამბავია და ეს ალბათ თქვენს მზადებაშიც შეიტანს გარკვეულ კორექტივებს.

— ჩვენ 4 ივნისიდან ვიწყებთ მზადებას, ფაქტობრივად, ყოველგვარი დასვენების გარეშე. ინტერტოტო ჩვენს ფეხბურთელებს საერთაშორისო გამოცდილებასაც შესძენს და სწორედ ამიტომაც დავთანხმდით. თანაც, საქართველოს ჩემპიონატში ნებისმიერი გუნდი ხომ იმისთვის თამაშობს, რომ რომელიმე ევროპული საგზური მოიპოვოს.

— ალბათ შემადგენლობის გაძლიერებაზეც იზრუნებთ...

— „დილა" საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, თუმცა სასურველ ფეხბურთელთა სიაც არსებობს, რომელსაც ორ-სამ დღეში გაგაცნობთ.



— ევროპაში თამაშს არცთუ ცოტა ფული სჭირდება...

— არც ეგ იქნება პრობლემა. საერთოდ, „დილას" სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს და საქართველოში ნებისმიერი კლუბისთვის ანგარიშგასაწევ ძალად უნდა იქცეს.

დავით ერაძე

დამსჯელები და დასჯილები

„ვიტ ჯორჯია" – სიონის" ოქროს მატჩში მომხდარი არაეულობა, ბუნებრივია, ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ლიგის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. შეიქმნა კიდეც სპეციალური ხუთკაციანი კომისია, რომელსაც ფეხბურთელთა საქციელი უნდა შეესწავლა და შესაბამისი დასჯნებიც წარმოედგინა.

„1. ს. კ. თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელმა რევაზ გოცირიძემ, გოლის გატანის შემდეგ არაეთიკური ჟესტებით გამოიწვია ბოლნისელ გულშემატკივართა აღშფოთება, რასაც მოყვა ტრიბუნებზე არეულობა.

2. მატჩის მომსახურე მსაჯებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ს.კ. „სიონის" ფეხბურთელებმა ავთანდილ ლაბაძემ, აქვსენტი გილაურმა, ელდარ გვასალიამ და გუნდის მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ.

3. მატჩის მიმდინარეობის დროს, ს.კ. ბოლნისის „სიონის" ფეხბურთელმა შალვა ისიანმა უნებართვოდ დატოვა მოედანი და მისი საქციელი ექვემდებარება დისციპლინარულ სასჯელს."

აი, ეს დაასკვნა კომისიამ, პროფლიგის სადისციპლინო კომიტეტიც სამივე შემთხვევაზე კონკრეტულად იმსჯელებს და სასჯელსაც გამოიტანს.

პროფლიგა თავის წილ პასუხისმგებლობას აკისრებს მატჩის ინსპექტორ ოთარ გუნთაძესა და დირექტორ შოთა ხინჩაგაშვილს. მათ საკითხს საინსპექტორო კომიტეტში განიხილავენ.

მატჩის არასათანადოდ ორგანიზებისთვის პასუხისმგებლობას ვერც ეროვნული სტადიონი გადაურჩება. ეროვნული ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების მოთხოვნით, პროფლიგა საგანგებო წერილს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი ბარამიძესაც გაუგზავნის, რომელშიც ყურადღება გამახვილდება პოლიციელთა არაპროფესიონალიზმსა და მაყურებლის როლში ყოფნაზე.

დავით ერაძე

ირლანდია

პრემიერდივიზიონი
IV ტური

ფილკირი 2:0 კეფლავიკი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

B ჯგუფი. III ტური

შვეიცარია 1:3 შვედეთი
გერმანია 1:2 პორტუგალია

ამხანაგური მატჩები

სამხრეთ კორეა 0:1 თურქეთი
ჩეხეთი 3:1 ბულგარეთი
ირლანდია 1:0 იამაიკა
შვეიცარია 0:2 გერმანია

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი

ტოლუკა 1:0 გვადალახარა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08

ბათუმიდან ევროპა ახლოა

ჩელებაძე ვარშალომიძემ დაარჯერა

თქვენ ოღონდ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნეთ და დანარჩენი მერე ჩვენ ვიცითო, აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ ამ სიტყვებითა და დიდი იმედით გააცილა „ბათუმი“ ქუთაისისკენ „მილანთან“ საპლეიოფო თამაშზე. „ბათუმმა“ თავის საქმე გააკეთა, „მილანს“ მოუგო და უმაღლესში დარჩა. რევაზ ჩელებაძისთვის ეს პირველი წარმატებაა კლუბის პრეზიდენტის რანგში, სხვა კი, ჩელებაძის თქმით, მომავალი სეზონიდან იქნება

ბაჩანა ძაძილაძის ფოტო

— ჯერ კიდევ „ბათუმის“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ვარ, ოფიციალურად დამტკიცებული არ ვარ — გვითხრა რევაზ ჩელებაძემ — თუმც, მგონი, ამ საკითხის საჩემოდ გადაწყვეტას წინ არაფერი უდგას.

— მაშინ, როგორც მოვალეობის შემსრულებელს, ისე გკითხავთ: გავიგეთ, მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად გუნდიდან ყველა გაგიშვიათ. მართალია?

— არ არის მართალი, არავინ გამიშვია. ფეხბურთელებს „ბათუმთან“ კონტრაქტები დაუმთავრდათ. ვინ დარჩება გუნდში, ვინ არა, ამას ორ კვირაში გეტყვით. ჯერჯერობით კი არც ერთ ფეხბურთელს „ბათუმთან“ კონტრაქტი არ აქვს.

— კონტრაქტების გაგრძელებას, ახალი ფეხბურთელების მიწვევას ფული სჭირდება. აქვს ახლა „ბათუმს“ კარგი ფეხბურთელების შენახვის საშუალება?

— „ბათუმს“ ახალი სეზონიდან ყველაფერი ექნება. ჩვენი მიზანი ერთ-ერთი ევროსაგზურის მოპოვებაა. უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ დღეებში შევხვდები აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარეს ლევან ვარშალომიძეს. გუნდის მომავალზე ვისაუბრებთ, ის ფეხბურთის დიდი ქომაგია და მისი დახმარებით „ბათუმს“ არაფერი გაუჭირდება. და რაც მთავარია, „ბათუმის“ კურატორი თავად ლევან ვარშალომიძეა.

— მწვრთნელებმა, ასლან ბალაძემ და ვალერიან ჩხარტიშვილმა დატოვეს გუნდი?

— არა, ასლან ბალაძე „ბათუმის“ გენერალური დირექტორი იქნება, ვალერიან ჩხარტიშვილი მწვრთნელის თანაშემწე. მწვრთნელად, ეს უკვე გეწერათ, ამირან გოგიტიძე დავნიშნეთ. ვიცე-პრეზიდენტი კი ვახტანგ ქორიძეა.

— „ბათუმში“ აკაკი დევაძის გადასვლის საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავიაო.

— კი, ასეა. კაკოსთან კონტრაქტი ჯერ არ გავიფორმებია, თუმც ეს საკითხი შეგიძლიათ მოგვარებულად ჩათვალოთ.

— კიდევ რომელი ფეხბურთელების დამატებას აპირებთ?

— ორ კვირაში ყველაფერს გეტყვით. გუნდი 15 ივნისს იკრიბება და ახალი შემადგენლობაც მაშინ მეცოდინება.

— ინვესტიციების მოსაზიდად უცხოეთში გამგზავრებას როდის აპირებთ?

— აღარ ვაპირებ. ლევან ვარშალომიძე „ბათუმს“ თანადგომას ჰპირდება და დარწმუნებული ვარ, თავის სიტყვას შეასრულებს.

ძოგა ინასარიძე

ვეშაპიძეს ბოლნისში ფეხბურთი ამეჭვებს

„ეს არ არის ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილება. ვანდალიზმში ბოლნისელთა ფანები მონაწილეობდნენ. გადაწყვეტილება მკაცრია, მაგრამ სამომავლოდ თავის შედეგს უთუოდ მოიტანს“. ეს თქვა მერაბ ჟორდანიამ ორშაბათის საგანგებო პრესკონფერენციაზე, როცა ჟურნალისტებს „სიონის“ უეფას თასის გათამაშებიდან მოკვეთის ამბავი ამცნო. თუ რა მოჰყვა ფედერაცია-პროფლიგის ამ ერთობლივ გადაწყვეტილებას, ამის თაობაზე გუშინ ბოლნისის გამგებელ ზვიად ვეშაპიძეს შევეხმიანეთ...

გურამ დოლიძეიანის ფოტო

„სიონის“ ფეხბურთელებს და უფროსობას ერთი საფმჭრალი აქვთ: რა იქნება მერე?

— „სიონი“ უეფას თასის გათამაშებიდან მოხსნეს...

— ჩათვალეთ, რომ ამით ბოლნისური ფეხბურთი დასამარდა, „სიონი“ დაიშალა. ფეხბურთელებს თვალი წასვლაზე უჭირავთ, საეჭვოა, პარტნიორთაგან კვლავაც ძველებური დაფინანსება გვქონდეს, ასეთ ვითარებაში კი გუნდის პერსპექტივა ძალიან ბუნდოვანია. ახლა იმის თქმაც სათუოა, რომ გუნდი კვლავაც ითამაშებს ეროვნულ ჩემპიონატში. ნებისმიერ ვარიანტში, „სიონმა“ რომც გააგრძელოს არსებობა, ეს ის გუნდი არ იქნება, რაც იყო. ფედერაციამ მკვლელი განაჩენი გამოგვიტანა, ამ გადაწყვეტილებით ფაქტობრივად შეწყდა ბოლნისური ფეხბურთის ერთი ლამაზი ისტორია.

— ფედერაციამ გადაწყვეტილების მიღებისას „სიონს“ აპელაციის უფლებაც არ დაუტოვა...

— რა აზრი ჰქონდა აპელაციას?! გასაჩივრების უფლება რომც გვქონოდა, მაინც არ გამოვიყენებდით. ვინც ასე გაგვიმეტა, ისევ მათ უნდა შევდავებოდით და ჰქონდა ამას აზრი?! „სიონი“ რომ დაბალი ღობე იყო, თავიდანვე ჩანდა. ჩვენ სამართლიანად ვითხოვდით მატჩის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებას. ერთი მხრივ, ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა. თანაც, მაგალითად, ბათუმში რომ ყოფილიყო თამაში, ჩვენი გულშემატკივარიც გაიფილტრებოდა. ძირითადად მართლაც ქომაგები მოხვდებოდნენ სტადიონზე და მთვრალი გულშემატკივრის ალბათობაც ნაკლები იქნებოდა.

— ნეიტრალურ ქალაქში თამაშზე უარი რა არგუმენტით გითხრეს?

— არანაირი არგუმენტი არ ჰქონიათ. გვითხრეს, „დინამოზე“ უნდა ითამაშოთო და ჩვენც სხვა რა გზა გვქონდა.

— ელოდით, რომ „სიონს“ ასე მკაცრად დასჯიდნენ?

— ფედერაციის გადაწყვეტილება ჩემთვის მართლაც მოულოდნელი იყო. ისე გამოვიდა, რომ მატჩის უსაფრთხოებაზე „სიონი“ ყოფილა პასუხისმგებელი. ეს ხომ აბსურდია. კი ბატონო, ჩვენი გუნდის ქომაგთა ერთი ჯგუფი მართლაც ხულიგნურად მოიქცა, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ უსაფრთხოების ზომები ფაქტობრივად არ იყო მიღებული, ეს კი თამაშის ორგანიზატორთა ბედოვლათობის ბრალია.

— ბოლნისში რა ვითარებაა ამჟამად?

— იმ არეულობისას ოთხი ბოლნისელი ბიჭი დაიჭირეს. 18 წლის ახალგაზრდები არიან და დღესაც დაპატიმრებული ჰყავთ, არადა, ორ მათგანს ფილტვების ანთება აქვს. ბოლნისში კი ამასთან დაკავშირებით მიტინგებს აწყობენ. დაპატიმრებულთა განთავისუფლებას ითხოვენ. ბუნებრივია, მეც ჩავერიე, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოდის. ფედერაციის გადაწყვეტილებამ ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იმოქმედა ბოლნისელებზე. სამწუხაროა, რომ ყველაფერი ასე დასრულდა. ვფიქრობ, „სიონი“ ეშხს

ბაჩანა ძაძილაძის ფოტო

ზვიად ვეშაპიძე

და ლაზათს მატებდა ჩვენს ჩემპიონატს და ეს გუნდი მარტო ბოლნისს კი არა, ქართულ ფეხბურთს დააკლდება.

პაატა კვანტალიანი

ღია ჯარის დღე საფეხბურთო ჯლუბ დინამო თბილისში

ბავშვებისა და ჭაბუკებისთვის!

დინამო თბილისის ბავშვთა და ჭაბუკთა აკადემია აცხადებს
ღია კარის დღეს ნიჭიერ ფეხბურთელთა შერჩევის მიზნით.
ასაკობრივი ჯგუფი: 1987-88-89-90-91
შესარჩევი თამაშები გაიმართება 5 ივნისიდან 20 ივნისამდე ყოველ დღე,
ავჭალის გზატკეცილზე მდებარე სტადიონზე — „სინათლე“.
გელით 9:00 — 13:00 და 16:00 — 20:00 საათებში. ტელ: 53-20-76
მშობლებო და სპორტული სკოლების ხელმძღვანელებო, მიეცით
თქვენ ბავშვს შანსი, მოხვდეს საუკეთესო სპორტულ გარემოში!

ტატუში ჩემი ხასიათია
არ მიყვარს, როცა მამოწმებენ

მეთხუთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა. 19 წლის დინამოელ ფორვარდ სანდრო იაშვილს ქართული საფეხბურთო სამყარო მანამდე ასაკობრივ ნაკრებებში წარმატებული თამაშით იცნობდა, განვლილ სეზონში კი იაშვილმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ დიდი შესაძლებლობების მოთამაშეა.

იაშვილი არის ფეხბურთელი, რომელზეც განსხვავებული აზრი აქვთ, იაშვილზე ბევრს კამათობენ ანუ იაშვილზე ბევრს ლაპარაკობენ.

იაშვილი არის ფეხბურთელი, ვინც ჰაერში ისე დაფრინავს, რომ ხელებაშვერილ მეკარეებს უგებს ბურთებს.

იაშვილი არის ფეხბურთელი, ვინც დიდი კაპიტალია „დინამოსთვის" და ქართული ფეხბურთისთვის — ვინძლო თამამი განცხადებაა, მაგრამ იაშვილი ამას იმსახურებს.



ბადრი ჯეფერაძის ფოტო

— შენით კიევის „დინამო" იყო დაინტერესებული — ახლა რა ხდება, რას აპირებ?

— არ ვიცი, რა როგორ იქნება. ყველაფერი ჩემს სურვილზე არაა დამოკიდებული — „დინამოსთან" კონტრაქტით კიდევ ორი წელი მაკავშირებს. მომდევნო სეზონში ალბათ კვლავ „დინამოში" ვითამაშებ.

ბადრი ჯეფერაძის ფოტო

— განვლილ სეზონში რა იყო შენი ყველაზე დიდი გაწბილება და სიხარული?

— ყველაზე დიდი გაწბილება ის იყო, ჩემპიონები რომ ვერ გავხდით. ჩემპიონობისთვის ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ ერთმა წაგებამ „ვიტ ჯორჯიასთან" ყველაფერი წყალში ჩაგვიყარა. ყველაზე დიდი სიხარული კი ის იყო, რომ საქართველოს თასის ფინალში პირველად ვითამაშე და პირველივე ცდაზე ავწიე თასი.

— შენზე რომ ყველა ალაპარაკდა, ამას წარმატებად არ მიიჩნევ?

— რაც შემიძლია, იმას ჯერ ვერ ვთამაშობ. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მეტი შემიძლია. ცოტა ხანში სანდრო იაშვილისგან ბევრად მეტს დაინახავენ.

— ბევრს მიაჩნია, რომ ცუდი ხასიათი გაქვს და ეს თუ შეგიშლის ხელს, დიდ წარმატებებს მიაღწიო.

— თუ ვინმე გამიცნობს, ვერავინ იტყვის, რომ ცუდი ხასიათი მაქვს, მინდორზეც წითელ ბარათებს არ ვიღებ. შესაძლოა, მართლა ჩანს, რომ ამაყი ვარ, მაგრამ ეს ასე არ არის. ეგაა, მინდორზე ბევრს ვლაპარაკობ, რასაც ენერგია მიაქვს და ამან შესაძლოა კონცენტრაცია გამინელოს — ეს ალბათ ასაკის ბრალია.

— მაღალი ნახტომი რომ გაქვს, ეს ღმერთისგანაა ბოძებული თუ ამაზე საგანგებოდ ვარჯიშობ?

— ადამიანს ყველაფერი ღმერთისგან აქვს, თუმც ნახტომზე ყოველთვის ვვარჯიშობდი და ასეა ახლაც — ვარჯიშის შემდეგ ვრჩები და კოორდინაციაზე ვმუშაობ, შემდეგ შევდივარ სატრენაჟორო დარბაჟში და ნახტომისთვის საჭირო კუნთებს ვავარჯიშებ. საერთოდ, ფიზიკურ მომზადებას დიდ ყურადღებას ვუთმობ.

— ზოგი სპეციალისტი ფეხით თამაშს გიწუნებს, ჰაერში რომ არის, ქვემოთ ისეთივე ძლიერი არ არისო...

— ბურთს ფეხითაც ნორმალურად ვიმორჩილებ და კაცის მოტყუებაც არ მიჭირს, ჩემს თავით და ფეხით თამაშში დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, უბრალოდ, ნახტომი და თავით თამაში ჩემი კოზირია — გამორჩეული თვისება ყველა ფეხბურთელს აქვს.

— ადრე თქვი, ყველაზე მაგარი გოლი გერმანიასთან გავიტანე თავით თვრამეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და კიდევ ერთი მაგარი გოლი მინდაო — განვლილ სეზონში ხომ არ იყო ასეთი „მაგარი გოლი"?

— ასეთი გოლი გორის „დილას" გავუტანე, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე 5:0 რომ მოვუგეთ — ბურთი ცენტრიდან წავიღე, რამდენიმე მეტოქე და მეკარეც მოვატყუე და გავიტანე — აქედანაც ჩანს, რომ ფეხითაც შემიძლია თამაში.

— ალექსანდრე და სანდრო იაშვილები ეროვნულ ნაკრებში — როგორ წარმოგიდგენია ასეთი ტანდემი?

— სათამაშო სტილით ერთმანეთისგან განვსხვავდებით, მაგრამ ნაკრებში ალექსანდრე იაშვილთან თამაში ჩემთვის ძალიან სასიხარულო იქნებოდა და მინდორზე ბევრი რამის გაკეთებაც გამიადვილდებოდა.

— „დინამო" ჩემპიონი რომ ვერ გახდა, ამას რას დააბრალებდი?

— „დინამოს" წინააღმდეგ ყველა გუნდი განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს, თანაც იღბალმაც დაგვაღალატა.

— მობილურ ტელეფონს ვერ იტანდი — ახლა თუ გაქვს რამე სხვა ახირება?

— მობილურს ახლაც ვერ ვიტან, მაგრამ საჭიროა და მაქვს. არ მიყვარს, როცა მირეკავენ და არ მიყვარს, როცა მამოწმებენ.

— როგორც დინამოელთა უმეტესობას, შენც BMW გიყვარს...?

— მაღალი კლასის „მერსედესებიც" მიყვარს, მაგრამ იმით დავდივარ, რისი საშუალებაც მაქვს. „მერსედესის" გარდა არც სხვა მაღალი კლასის მანქანებზე ვიტყოდი უარს.

— მარჯვენა ხელზე უცნაური ტატუ გაქვს...

— ეს იეროგლიფებია — ჩემს ხასიათში რაც ზის, ის მაწერია, მაგრამ ისეთ ენაზე, რაც მხოლოდ მე ვიცი.

— კითხვა და ფილოსოფია გიყვარს?

— არცთუ ისე სიღრმისეული ტიპი ვარ, უბრალოდ, ტყუილს ვერ ვიტან. წელან ჩემს ხასიათზე ვსაუბრობდით — თუ ადამიანს კარგად არ იცნობ, მას ნუ განსჯი და ცილს ნუ დასწამებ.

— ფეხბურთის გარდა კიდევ რა გიყვარს?

— ძმაკაცებთან და ოჯახის წევრებთან ყოფნა, თავისუფალი დროის რამდენიმე საათს გოგონებსაც ვუთმობ.

— რა არის ახლა სანდრო იაშვილის ოცნება?

— ეროვნულ ნაკრებში თამაში. ნაკრების გამარჯვებაში ჩემი წვლილის შეტანა მსურს — ნაკრები წარუმატებლად გამოდის, მაგრამ ხალხი ნაკრების თამაშებზე მაინც დადის და ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ ნაკრები თამაშებს მოიგებს?!

— ერთი ბანალური კითხვაც — ვინ მიგაჩნია ყველაზე მაგარ ფეხბურთელად?

— ზიდანი, ანრი და ვიერი.

დავით თავართქილაძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპული ზონის ჩვენი მეტოქეები

თურქეთი

კორმას ოსმალო გაახსენდა

ავსტრალიიდან სამხრეთ კორეაში ჩასულმა თურქეთის ნაკრებმა მასპინძლებს პირველ ამხანაგურ მატჩში ჰაკან შუქურის გოლით სძლია.

ეს გუნდები ერთმანეთს ორი წლის წინ სეულში მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოსთვის შეხვდნენ და მაშინ ოსმალომ 3:2 მოიგო.

სამხრეთ კორეელებს უმბერტო კოელიუ წვრთნიდა, მაგრამ აპრილში იგი გაათავისუფლეს და მწვრთნელის მოვალეობას ახლა ერთ-ერთი მისი კორეელი თანაშემწე ასრულებს.

ჰაკან შუქურმა პირველი ტაიმის შუაში ოკან ბურუკის პასით გაიტანა. „ბოსფორის ბულამ" საჯარიმოში მიიღო ბურთი და მეკარეს შანსი არ დაუტოვა. ეს იყო შუქურის 44-ე სანაკრებო გოლი 94-ე მატჩში.

ოსმალომ გამართულად ითამაშა. მათ გერმანიიდან ჩასული ილდირაი ბაშთურქიც დაემატათ და ერსუნ იანალის გუნდს თავისი კლასი დაატყო. შეხვედრის ბოლოს კი კორეელებმა გულიანად შეუტიეს, მეკარე ომერს ორ-სამჯერ ბურთის მოსაგერიებლად გადახტომამაც მოუწია.

თურქები მასპინძლებს ზეგ მეორედ შეხვდებიან, შემდეგ კი შინ დაბრუნდებიან.

თურქეთი: რუშთუ (ომერი 46), უმიტ ოზატი, ბიულენტი (ფათიჰ აკიელი 46), სერკანი (იბრაჰიმი 46), დენიზი, ტოლგა (ნიაზი 90), ოკან ბურუკი (იბრაჰიმი 90), ბაშთურქი (თუნჯაი 70), ჰასან შაში (მეჰმეთ ილმაზი 90), ჰაკან შუქური (ჰამიტ ალტინტოპი 46), ნიჰათი (ზაფერი 73)

უკრაინა

ვარსკვლავმა ვარსკვლავს ფეხი დაადგა

საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩს ამაღლებული განწყობით შეხვდება ჩვენი მეტოქე უკრაინის ნაკრების თავკაცი ოლეგ ბლოხინი.

უკრაინელებმა ჰოლივუდური ბულვარის მაგვარი გააკეთეს, სადაც ქვეყნის წინაშე დამსახურებულთა სახელობის ვარსკვლავები გააწყვეს. პირველი ლაურეატები ესტრადაში, კინოში და სპორტში თავგამოჩენილთა შორის დაასახელეს. იოსიფ კობზონთან და ადა როგოვცევასთან ერთად ოლეგ ბლოხინიც მოხვდა. და სწორედ ამ სამეულის სახელობის ვარსკვლავები გახსნეს კიევის საერთაშორისო ცენტრთან გახსნილ ბულვარში. ვარსკვლავ-ნომინანტები საგანგებო სამკერდე ოქროს ვარსკვლავით უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა დააჯილდოვა.

პაატა ძვანტალიანი

ალენიჩევი: მაისი მისია!

რუსის არგუმენტს გოლი არ გაუვა

დმიტრი ალენიჩევი, ანდრეი შევჩენკო, ანდრეი კარიაკა — ასეთია თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მაისის გამოკითხვაში გამარჯვებული სამეული. გეცოდინებათ, ამ გამოკითხვას რუსული „სპორტ-ექსპრესი" ატარებს, საქართველოდან კი მასში ამჯერად გაზეთი „სარბიელი" მონაწილეობდა. აქვე ჩვენს რჩეულ ხუთეულსაც გაგაცნობთ: ალენიჩევი, იაშვილი, ვორობეი, შევჩენკო, კერჟაკოვი.

საბოლოო ჯამში, როგორც გითხარით, „პორტუს" რუსმა ნახევარმცველმა დმიტრი ალენიჩევმა აჯობა ყველას და 69 ქულით პირველ ადგილზე გავიდა. ალენიჩევის პირველობაში ეჭვი ალბათ არავის ეპარებოდა — გოლი და საგოლე პასი ჩემპიონთა ლიგის ფინალში — ასეთ შედეგზე ხომ ნებისმიერი ფეხბურთელი იოცნებებდა. შეგახსენებთ, ევროთასის ფინალში ალენიჩევმა შარშანაც შეძლო გატანა — უეფას თასზე გლაზგოს „სელტიკთან". ერთი სიტყვით, რუსი ფეხბურთელი თითქმის უკონკურენტო იყო და აკი 16 გამოცემიდან ათმა პირველი ადგილი არგუნა.

იტალიური სკუდეტო და გადამწყვეტ მატჩში „რომასთან" გატანილი გოლი — ამით გამოირჩა მაისი უკრაინელი ანდრეი შევჩენკოსთვის და „მილანის" სუპერვარსკვლავიც მეორე ადგილზე გავიდა პოსტსაბჭოურ სივრცეში. „შევა" სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და ღირსეულადაც ლიდერობს იანვარ-მაისის საერთო ჩათვლას.

მე-3-მე-4 ადგილებზე ისევ რუსები, „კრილია სოვეტოვის" ლიდერი ანდრეი კარიაკა და „ზენიტის" მეგოლე ალექსანდრ კერჟაკოვი გავიდნენ, რომლებიც რუსულ პრემიერლიგაში წონიან სიტყვას ამბობენ და უკვე რამდენიმე ევროპული ბობოლაც დააინტერესეს.

და ხუთეულის ბოლო წევრი, ქართველი ალექსანდრე იაშვილი — გერმანული „ფრაიბურგის" საუკეთესო ბომბარდირი და „კიკერის" შეფასებით საუკეთესო ფეხბურთელიც. მაისში „იაშკამ" ორი გოლი გაუტანა „ჰანოვერს" და გუნდი ბუნდესლიგაში დატოვა. ხუთიოდ დღის წინ კი იგი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა „სარბიელის" ტრადიციული გამოკითხვით. გასაკვირია, მაგრამ იაშვილი მხოლოდ რვა გამოცემამ დაასახელა რჩეულთა შორის, ისიც ძირითადად მე-4-მე-5 ადგილებზე. ერთი სიტყვით, ჩვენებურმა 18 ქულა დააგროვა და მეხუთე ადგილზე გავიდა.

ივნის-ივლისის გამოკითხვებში საქართველოდან „ოლიმპი" და „სპორტი" მიიღებენ მონაწილეობას. „სარბიელი" კი თავის სიტყვას აგვისტოში იტყვის.

ძახა შალამბერიძე

დმიტრი ალენიჩევის კარიერის გოლი ჩემპიონთა ლიგის ფინალში

СПОРТ ЭКСПРЕСС

გამოკითხვა

თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი

მაისი

დმიტრი ალენიჩევი (რუსეთი)	10	3	2	-	1	69
ანდრეი შევჩენკო (უკრაინა)	4	8	1	3	-	61
ანდრეი კარიაკა (რუსეთი)	2	3	7	1	2	47
ალექსანდრ კერჟაკოვი (რუსეთი)	-	1	2	3	4	20
ალექსანდრე იაშვილი (საქართველო)	-	1	2	3	2	18
ანდრეი ვორობეი (უკრაინა)	-	-	2	2	6	16
ალექსეი სმერტინი (რუსეთი)	-	-	-	4	1	9

საერთო ჩათვლა

იანვარი-მაისი

შევჩენკო (უკრაინა)	294
კარპინი (რუსეთი)	150
სმერტინი (რუსეთი)	103
ალენიჩევი (რუსეთი)	98
ვერპაკოვსკისი (ლატვია)	61
სიჩოვი (რუსეთი)	60
გლები (ბელარუსი)	58
კარიაკა (რუსეთი)	47
ესიპოვი (რუსეთი)	37
დარასელია (საქართველო)	36
პანოვი (რუსეთი)	36
გახოკიძე (საქართველო)	31
რომაშჩენკო (ბელარუსი)	28
არველაძე (საქართველო)	25
მოსტოვოი (რუსეთი)	24
ოვჩინიკოვი (რუსეთი)	24
კერჟაკოვი (რუსეთი)	20
იაშვილი (საქართველო)	18
ვორობეი (უკრაინა)	16
იანკაუსკასი (ლიტვა)	16
პეტროსიანი (სომხეთი)	15
კალნინშსი (ლატვია)	3

ქვეყანა/მედია	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	მეხუთე
აზერბაიჯანი „ეხო"	შევჩენკო	ალენიჩევი	იაშვილი	კარიაკა	ვორობეი
სომხეთი „არმენია TV"	ალენიჩევი	შევჩენკო	კარიაკა	იაშვილი	ვორობეი
ბელარუსი „სპორტივნაია პანორამა"	ალენიჩევი	შევჩენკო	კარიაკა	სმერტინი	კერჟაკოვი
საქართველო „სარბიელი"	ალენიჩევი	იაშვილი	ვორობეი	შევჩენკო	კერჟაკოვი
ყაზახეთი „ვრემია"	კარიაკა	შევჩენკო	ალენიჩევი	სმერტინი	კერჟაკოვი
ყირგიზეთი „მოია სტოლიცა-ნოვოსტი"	ალენიჩევი	შევჩენკო	კარიაკა	კერჟაკოვი	იაშვილი
ლატვია „ჩასი"	ალენიჩევი	კარიაკა	შევჩენკო	ვორობეი	იაშვილი
ლიტვა „რესპუბლიკა"	კარიაკა	ალენიჩევი	კერჟაკოვი	შევჩენკო	ვორობეი
მოლდოვა „ნეზავისიმაია მოლდოვა"	ალენიჩევი	შევჩენკო	კარიაკა	იაშვილი	კერჟაკოვი
რუსეთი „ინტერფაქსი"	ალენიჩევი	შევჩენკო	კარიაკა	კერჟაკოვი	ვორობეი
ტაჯიკეთი „აზია-პლუსი"	შევჩენკო	კარიაკა	ვორობეი	კერჟაკოვი	ალენიჩევი
თურქმენეთი „ბეიკ თურქმენბაში ნესლი"	ალენიჩევი	შევჩენკო	იაშვილი	ვორობეი	კარიაკა
უზბეკეთი „ფუტბოლ ექსპრესი"	ალენიჩევი	შევჩენკო	კარიაკა	იაშვილი	ვორობეი
უკრაინა „კომანდა"	შევჩენკო	ალენიჩევი	კარიაკა	სმერტინი	ვორობეი
ესტონეთი ETV	შევჩენკო	კერჟაკოვი	ალენიჩევი	სმერტინი	კარიაკა
სპორტ-ექსპრეს ინტერნეტი	ალენიჩევი	კარიაკა	კერჟაკოვი	შევჩენკო	სმერტინი

პირველი ადგილი — 5 ქულა, მეორე — 4, მესამე — 3, მეოთხე — 2, მეხუთე — 1



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრს რეხვიაშვილისი: ხალხს უკვე ლატვიელი ვგონივარ

ლატვიურმა სააგენტოებმა სენსაციური ცნობა გაავრცელეს — საქართველოს ნაკრების წევრყოფილი ალექსანდრე რეხვიაშვილი უახლოეს მომავალში ლატვიის მოქალაქეობას მიიღებს.

— ადრე თუ გვიან ეს გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. ჯერჯერობით საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსი კიდევ მაქვს და კარგი იქნებოდა, ეს საქმე დროებით გადამედო, მაგრამ ლატვიური ენის შესწავლა უკვე დავიწყე — განაცხადა რეხვიაშვილმა — შეიძლება, ჩემს შესაძლებლობებს ვაჭარბებ, თუმც ქუჩაში რომ გავდივარ და ლატვიურად ვლაპარაკობ, ხალხს ეს ძალიან მოსწონს. მათ უკვე ლატვიელი ვგონივარ.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ ლატვიელები რიგის „სკონტოს" ქართველ ნახევარმცველ ზურაბ მენთაშაშვილსაც სთავაზობდნენ მოქალაქეობის მიღებას და იქაურ ნაკრებში თამაშს, თუმც ამის უფლება უეფამ არ მისცა. მართალია, რეხვიაშვილის ლატვიის ნაკრებში თამაშიც ასი პროცენტითაა გამორიცხული, მაგრამ თავად ფაქტი მაინც საინტერესო ჩანს.

ალექსანდრე რეხვიაშვილი სადღეისოდ მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგის" საკუთრებაა, ოღონდ კლუბს ტრანსფერზე ჰყავს დაყენებული და ფეხბურთელიც ყოფილ კლუბ „სკონტოში" ვარჯიშით ინარჩუნებს ფორმას.

ლატვიური სააგენტოების ცნობით, რეხვიაშვილის გალატვიელებას ისიც შეუწყობს ხელს, რომ ალეკოს იქაური მეუღლე ჰყავს.

ძახა შალამბერიძე



იგივენი და რომანი

სიომინმა ახალკაცს ფრანგული შანსი მისცა

მოსკოვის „ლოკომოტივი" დღეს ორკვირიან შეკრებაზე საფრანგეთში მიემგზავრება. რკინიგზელებმა ოდენ ათი დღით მოახერხეს დასვენება და დღეიდან რუსეთის ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადებას იწყებენ.

იური სიომინის გუნდი შეკრებაზე გადახალისებული შემადგენლობით მიდის. მოგეხსენებათ, რუსეთის ნაკრები კარსმომდგარ ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს და, ცხადია, „ლოკომოტივიც" ქვეყნის ეროვნულ გუნდში სოლიდურადაა წარდგენილი.

„ლოკომოტივს" საფრანგეთში სამივე ქართველი მიჰყვება — მალხაზ ასათიანს და მიხეილ აშვეთიას სარეზერვო გუნდიდან რომან ახალკაციც შეუერთდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იური სიომინმა, რაც გასაკვირი სულაც არაა. ახალკაცი სარეზერვო გუნდის ლიდერია და 8 გოლით ბომბარდირებში მეორე ადგილზეა. სიომინსაც ახალგაზრდა ქართველი თავდამსხმელის თამაში რამდენჯერმე უნახავს და საიმედო სიტყვებიც არ დაუმადლებია — ასე თუ გაგრძელებ, ძირითად გუნდშიც გადაგიყვანო.

ერთი სიტყვით, ახალკაცს შანსმა კარზე მიუკაკუნა და ვნახოთ, როგორ გამოიყენებს ამას ჩვენებური. რაც შეეხება აშვეთიას, რომელიც ბოლო ხანებში ჯანზე ვერ იყო და ამის გამო ისრაელთან ამხანაგური მატჩიც გამოტოვა, თავს უკეთ გრძნობს და საფრანგეთშიც სრული დატვირთვით განაახლებს ვარჯიშს.

ძახა შალამბერიძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

ურუგვაი — პერუ. ნოლბერტო სოლანომ ურუგვაელებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა

პარაგვაი სუფთა ჰაერმა გაგუდა
წაქცეულს დააბიჯა და წამომდგარს მიაფურთხა

VI ტური

ბოლივია 2:1 პარაგვაი

1:0 კრისტალდო (9), 1:1 კარდოზო (33), 2:1 სუარესი (72)

ბოლივია: ლ. ფერნანდესი, ს. ხაურეგი, რალდესი, ხ. პენა, ლ. გატი რიბეირო (სოლისი 90), კრისტალდო, ო. სანჩესი, ლ. ალვარესი (რ. სუარესი 60), ბალდივიესო, ლ. გუტიერესი (კ. ანგულო 86), ბოტერო

პარაგვაი: ვილია, ესპინოლა, ლუგო (ს. კაბანასი 82), გამარა, პ. და სილვა, ე. გონსალესი, ორტისი, დუარტე (ხ. დე ლოს სანტოსი 74), ენსისო, ხ. კარდოზო, სანტა კრუზი (ს. რამირესი 63)

გაძევება: პენა (60)

მსაჯი: მარსიო დე ფრეიტაში (ბრაზილია)

20 000 მაყურებელი

ვენესუელა 0:1 ჩილე

0:1 პინილია (84)

ვენესუელა: ანგელუჩი, ვალენილია (ე. გონსალესი 65), ჩიკერო, ხ. რეი, ხონაი ერნანდესი, ლ. ხიმენესი, ვიელმა (ა. გონსალესი 75), ურდანეტა (მარჯოტა 46), პაესი, არანგო, რონდონი

ჩილე: ტაპია, როხასი, ვარგასი, ოლარა, რ. პერესი, მალდონადო, მელენდესი, მ. გონსალესი (მიროშევიჩი 59), დ. პიზარო (ვალენსუელა 79), გალაზი (პინილია 46), ნავია

მსაჯი: კარლოს ტორესი (პარაგვაი)

30 000 მაყურებელი

ურუგვაი 1:3 პერუ

0:1 სოლანო (12), 0:2 პიზარო (19), 0:3 ფარფანი (62), 1:3 ფორლანი (73)

ურუგვაი: მუნუა, დე სოუზა, სორონდო, ლემბო, გიგუ (ა. რომერო 46), სოსა, პაბლო გარსია, პაჩეკო (ფორლანი 46), რ. ნუნიესი, ჩევანტონი, პანდიანი (დარიო სილვა 72)

პერუ: ო. იბანიესი, გალიკიო, აკასიეტე, რებოსიო (ხულიო გარსია 80), ვილკესი, ზეგარა, სოლანო, ხაიო, პალასიოსი (სოტო 59), კ. პიზარო (ა. მენდოსა 46), ფარფანი

გაძევება: სორონდო (32)

მსაჯი: რუბენ სელმა (ჩილე)

30 000 მაყურებელი

ურუგვაი შინ ზედიზედ მეორედ დამარცხდა. მარტში ვენესუელასთან 0:3 წააგო, ამჯერად კი სამი ქულა პერუს გაატანა.

მასპინძლები უკვე მეოცე წუთისთვის ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ, ხოლო მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში ურუგვაელი მცველი გონსალო სორონდო გააძევეს.

შესვენების შემდეგ ჯეფერსონ ფარფანმა კაცნაკლულებს მესამე გაუტანა, შეცვლაზე შესულმა დიეგო ფორლანმა კი ერთის გაქვითვა მოახერხა.

მარტში ვენესუელასთან წაგებამ ურუგვაელთა მწვრთნელი ხუან რამონ კარასო „შეიწირა". მის ნაცვლად ხორხე ფოსატი დანიშნეს, რომელმაც კარასოსგან მოძულებული რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის ფორვარდი დარიო სილვა, ნაკრებში დააბრუნა, მაგრამ ფოსატის დებიუტიც მარცხიანი გამოდგა.

ცხადია, ურუგვაელები უტევდნენ და მეკარე ოსკარ იბანიესმა ორსამჯერ კიდეც იყოჩაღა, თუმც ნოლბერტო სოლანოს გოლმა მასპინძლები არია.

„ასტონ ვილას" ლეგიონერმა საჯარიმოდან ბურთი კარის ცხრიანში ჩასვა. შვიდი წუთის შემდეგ რობერტო პალასიოსის ფლანგური შეტევა კლაუდიო პიზაროს ზუსტი დარტყმით დასრულდა. „ბაიერნის" მოთამაშემ შესარჩევ ციკლში პირველი გოლი გაიტანა.

ამან მასპინძლები მთლად მოშალა, პერუელებმა კი გაილაღეს. ურუგვაელ გონსალო სორონდოს ნერვებმა უღალატა, მან პალასიოსს წვივში ფეხი ჩაარტყა, წაქცეულსაც დააბიჯა და წამოდგომისას კი მეტოქეს მიაფურთხა კიდეც. ჩილელმა მსაჯმა რუბენ სელმამ სორონდო გააძევა.

მეორე ტაიმში სტუმრებმა ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდეს. გამოზომილი პასით ფარფანმა იხეირა.

დიეგო ფორლანმა თავური დარტყმით ერთი კი გაიტანა, მაგრამ ათკაცა ურუგვაელებმა მეტი ვერაფერი მოახერხეს. ეგ კი არა, პერუელებს მეოთხის გატანაც შეეძლოთ — ანდრეს მენდოსამ ექვსი მეტრიდან ბურთი კარს ააცილა.

ბოლივიამ ზღვის დონიდან 3600 მეტრ სიმაღლეზე, ლა პასში, პარაგვაი დაამარცხა და ჯგუფში ბოლო ადგილიდან დაიძრა.

ბოლივიელებმა აპრილში შინ ჩილესთან 0:2 წააგეს და მწვრთნელი ნელსონ აკოსტა 60-ს მიტანებულმა რამირო ბლაკუტმა შეცვალა. ბლაკუტი აქამდე სამჯერ — 1979, 1981 და 1991 წლებში წვრთნიდა გუნდს. მან ნაკრებში ლუის კრისტალდო დააბრუნა, რომელსაც მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე უთამაშია.

მეცხრე წუთზე საჯარიმოში შექმნილი არეულობით კრისტალდომ ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ხოსე კარდოზომ როკე სანტა კრუზის პასით პირველივე ტაიმში გაათანაბრა.

მასპინძელი მცველი ხუან მანუელ პენა ედგარ გონსალესთან უხეშობისთვის გააძევეს, თუმც პარაგვაელები უჰაერობამ გატეხა და კაცნაკლულ ბოლივიელებს ჯანით ვერ აჯობეს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სტუმარი ფეხბურთელი ლა პასში აკლიმატიზაციისთვის 20 დღით ადრე ჩავიდა. მეკარე ვილიამ ლიმბერგ გუტიერესის თავური დარტყმა მოიგერია, მაგრამ სუარესის თავდაკრულ ბურთს ველარ შესწვდა. ათკაცა ბოლივიელებმა სასურველი შედეგი შეინარჩუნეს და რამირო ბლაკუტს ნაკრებში დაბრუნება გამარჯვებით გაულამაზეს.

ზედიზედ მოგებულმა მატჩებმა ვენესუელელ ქომაგებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის იმედი გაუღვივა, მაგრამ ჩილესთან საშინაო მარცხმა ისინი დააცხრო.

ნაწვიმარ მოედანზე ფეხბურთელები ხშირად უხეშობდნენ. განსაკუთრებით მასპინძლები ურტყამდნენ მეტოქეს ფეხებში, მას შემდეგ, რაც გოლი გაუშვეს. ვენესუელელთა ნახევარმცველ ხუან არანგოს რამდენჯერმე წაქცევისთვის პარაგვაელმა მსაჯმა სტუმრები ერთხელაც არ დააჯარიმა და სწორედ ამან გაახელა დამხვდურები.

ჩილელებმა გოლი მატჩის მიწურულს გაიტანეს. ბურთი მასპინძელ მცველისგან პინილიას მიუგორდა და მანაც მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

ვაჟა ხუციშვილი

არგენტინა	5	3	2	0	10:3	11
ჩილე	6	3	1	2	8:6	10
პარაგვაი	6	3	1	2	9:8	10
ბრაზილია	5	2	3	0	7:5	9
ვენესუელა	6	3	0	3	6:7	9
პერუ	6	2	2	2	9:7	8
ურუგვაი	6	2	1	3	12:14	7
ბოლივია	6	2	0	4	7:13	6
ეკვადორი	5	1	1	3	3:4	4
კოლუმბია	5	1	1	3	4:8	4



ხორხე ფოსატის დებიუტი ჩაუმწარდა

ამხანაგური მატჩი

რუუდ ვან ნისტელროომ მოედანი უგოლოდ დატოვა

ადვოკაატი ვან დერ ვაარტის ადვოკატია

ჰოლანდია 3:0 ფარერები

1:0 ვან დერ ვაარტი (30), 2:0 მაკაი (51), 3:0 ოვერმარსი (59)

ჰოლანდია: ვან დერ სარი (ვატერეუსი 46), რაიციგერი, სტამი (ჰეიტინგა 46), ბუმა (ფ. დე ბური 46), ვან ბრონკჰორსტი (ზენდენი 46), სნეიდერი (ზეედორფი 46), კოკუ (ბოსველტი 46), დავიდსი (ვან დერ მეიდე 46), ვან დერ ვაარტი (ოვერმარსი 46), კლუივერტი (ვან ჰოიდონკი 46), ვან ნისტელროოი (მაკაი 46)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)

1 500 მაყურებელი

ბელგიასთან შინ მარცხის შემდეგ ჰოლანდიამ გუნება ფარერებთან მოგებით გამოიკეთა. ამხანაგური მატჩი ლოზანაში გაიმართა და დიკ ადვოკაატმა შესვენებისას 10 ფეხბურთელი შეცვალა.

„ნარინჯისფერთა" შეტევა რუუდ ვან ნისტელროოისა და პატრიკ კლუივერტის წყვილმა დაამშვენა. ამ ორ თავდამსხმელს ერთად შარშან ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია.

ფორვარდებს ზურგიდან რაფაელ ვან დერ ვაარტი ეხმარებოდა, რომელმაც გოლი შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში საჯარიმოს გარედან გაიტანა.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულთაგან მარკ ოვერმარსმა იყოჩაღა — როი მაკაიმ მისი პასით ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა, შემდეგ კი თავად ოვერმარსმა მესამე მიაყოლა.

დიკ ადვოკაატი რაფაელ ვან დერ ვაარტის გამთამაშებლობით მოიხიბლა და ნამატჩევს თქვა: „კლარენს ზეედორფსაც შეუძლია, იკისროს გამთამაშებლობა, თუმც კლარენსი მარჯვენა ფლანგზეც ძალიან სასარგებლოა. პლეიმეიკერობას გერმანიასთან სავარაუდოდ, ვან დერ ვაარტი გასწევს. მისთვის ეს ამპლუა ზედგამოჭრილია".

ჰოლანდიელები ლოზანიდან შინ დღეს დაბრუნდებიან და მომდევნო ამხანაგურ მატჩში ირლანდიელებს უმასპინძლებენ.

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მაჭრი

ინგლისი 1:1 იაპონია

1:0 ოუენი (22), 1:1 ონო (53)
ინგლისი: ჯეიმსი, გ. ნევილი (ფ. ნევილი 85), კემპბელი, ტერი (კინგი 88), ე. კოული, ბექემი (ჯ. კოული 81), ჯერარდი (ჰარგრივსი 81), სქოულზი (დაიერი 76), ლამპარდი (ბათი 81), ოუენი (ვასელი 76), რუნი (ჰესკი 76)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
67 350 მაყურებელი

„მანჩესტერ სიტის“ სტადიონზე გამართულ ამხანაგურ მატჩში ინგლისმა იაპონიას ვერ მოუგო.

მაიკლ ოუენმა ანგარიში ტაიმის შუაში კი გახსნა და ეს მისი 25-ე სანაკრებო გოლი გამოდგა, მაგრამ მეორე ნახევარში გამართულად მოთამაშე სტუმრებმა შინჯი ონოს წყალობით გაათანაბრეს.

სვენ გორან ერიკსონმა ნეკი ბათს ფრენკ ლამპარდი ამჯობინა და ძირითად შემადგენლობაში ჩელსელი გამწესა.

მასპინძლებმა რიხით დაიწყეს მატჩი, თუმც ძალიან მწირი საგოლე მომენტები შექმნეს. ოუენს არა უშავდა, მისი მეწყვილე რუნი კი მკრთალი იყო. შორიდან დარტყმების ფესტატ პოლ სქოულზსაც სამიზნე გასასწორებელი ჰქონდა.

ჯონ ტერის მეოთხე წუთზე შეეძლო გატანა. დევიდ ბექემის კუთხურს ტერიმ თავი მისცხო, მაგრამ ნარაზაკიმ ბურთი მოიხელთა. ნარაზაკიმ 22-ე წუთზე სტივენ ჯერარდის გასროლილიც უკუაგდო, თუმც ოუენმა დამატებაზე გაიტანა.

იაპონელთაგან ტამადამ და ნაკამურამ დაჰკრეს ჯეიმსის კარში. მეკარემ ორჯერვე იყოჩაღა, ხოლო შესვენებამდე ყველაზე რეალური შანსი სტუმართა კაპიტანმა მიამოტომ ვერ გამოიყენა, ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა ბურთს თავი უხეიროდ დაარტყა. სამაგიეროდ, მეორე ტაიმის დასაწყისში ალესანდრო სანტოსის პასით ონომ ჯეიმსს გაუტანა.

აღსანიშნავია, რომ მატჩამდე დევიდ ბექემმა იაპონელებს ორი წლის წინ სამაგალითო მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა: „იაპონელი ხალხის სტუმართმოყვარეობა არასოდეს დამავიწყდება. ძალიან მიხარია, რომ ახლა ისინი გვეწვივნენ და ჩვენც სათანადოდ დავუხვდით“.

ბექემმა იაპონიასთან ათი დღის უვარჯიშებელმა ითამაშა, რადგან ტრავმისგან საბოლოოდ მორჩენა სურდა. მიუხედავად ამისა, შეხვედრის მიწურულს ფეხი მაინც ასტკივდა და შეცვალეს, „რეალის“ ფეხბურთელი მკურნალობას გააგრძელებს და საფრანგეთთან მატჩისთვის მზად იქნება.

ფრენკ ლამპარდი გახარებული იყო: „მწვრთნელმა იგივეს გაკეთება მთხოვა, რასაც „ჩელსიში“ ვაკეთებ — შეტევაში ჩართვა. ამის შესრულება ჩემთვის იოლია და ვიმედოვნებ, რომ ფრანგებთან ძირითად შემადგენლობაში ვიქნები“.

სვენ გორან ერიკსონს კი ჯერ არ გადაუწყვეტია — ბათი თუ ლამპარდი? „ფრენკს თავის გამოჩენის შანსი მივეცი. იგი პირველ ტაიმში დიდებული იყო, თუმც არ ვიცი, რომელს ვამჯობინებ — განაცხადა შვედმა და დასძინა — მატჩის პირველი 35 წუთი გუნდმა კარგად ითამაშა. ასეთივე ფეხბურთი პორტუგალიაში თითოეულ მატჩში 90 წუთის განმავლობაში რომ ვაჩვენოთ, ბედნიერი ვიქნები. მეორე ნახევარში ბიჭებს დაღლა დაეტყოთ, რადგან ორშაბათს მთელი დღე და სამშაბათს დილით დიდი დატვირთვით ივარჯიშეს. ვფიქრობ, ინგლისის ნაკრები ამჟამად უკეთეს ფორმაშია, ვიდრე ორი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო“.

ვაჟა ხუციშვილი

რა გააბედნიერებს ერიკსონს?

ის, რასაც 35 წუთი უყურა

შინჯი ონოს საპასუხო გოლი და ტკივილისგან წაქცეული დევიდ ბექემი

REUTERS მანჩესტერიდან

გარი ნევილი 2065 წლამდე მოცდას არ აპირებს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი გარი ნევილი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატ ზე გუნდს ტრავმის გამო დააკლდა. სვენ გორან ერიკსონის ნაკრები კორეა-იაპონიაში მეოთხედფინალს ვერ გასცდა, ამჯერად კი მწვრთნელიც და ქომაგებიც იმედოვნებენ, რომ ნევილიანად ინგლისის დაცვა გაუმჯობესდება ანუ ევროპის ჩემპიონობის ოდნავ მეტი შანსი ექნება. თავად მანჩესტერელი კი პორტუგალიაში გამგზავრებამდე წარსულს იხსენებს

— 1996 წელს გერმანიასთან ნახევარფინალში პენალტებით წაგეთ. მარცხით გამოწვეული გულისტკივილი დიდხანს გაგყვათ?

— ის ნახევარფინალი ჩემი გონებიდან არასოდეს წაიშლება. პენალტების სერიის შემდეგ გაოგნებული ვიყავი. შეგვეძლო, ევროპის ჩემპიონატი შინ მოგვეგო და ისტორიაში შევსულიყავით. ახლა ბედს კიდევ ერთხელ, პორტუგალიაში ვცდით.

— ზოგი სპეციალისტის აზრით, ინგლისი მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატზე გაცილებით ძლიერი იქნება, ვიდრე კორეა-იაპონიაში იყო.

— არ მივეკუთვნები მათ რიცხვს, ვინც ამბობს, რომ ჩვენი ნაკრები 2065 წელს „გაიხსნება“. ეს ახლავე, პორტუგალიაში უნდა მოხდეს, ასე ფიქრობს მთელი გუნდი. ფინალში გასასვლელად ხუთი მატჩის მოგებაა საჭირო. შევძლებთ ხუთი შეხვედრის მაღალ დონეზე გამართვას თუ ვერა? ალბათ შევძლებთ. ინგლისს ჰყავს იმ დონის ფეხბურთელები, რომლებსაც ევრო 2004-ის მოგება ძალუძთ.

— ამჟამინდელ ნაკრებს რვა წლის წინანდელს თუ შეადარებთ?

— დღეს ნაკრებში მეტი ტექნიკური ფეხბურთელია, ვიდრე ოდესმე გვყოლია, 1996-ში კი გუნდში უფრო სახელოვანი მოთამაშეები იყვნენ: დევიდ სიმენი, ტონი ადამსი, დევიდ პლატი, სტიუარტ პირსი, პოლ გეისქოინი და ალან შირერი.

— დღევანდელ ინგლისს რეალურად რისი მიღწევა შეუძლია?

— თუ მოვინდომეთ, ნებისმიერ მეტოქეს დავამარცხებთ. ზოგს მიაჩნია, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მოსაგებად სულ ცოტა, 5 უმაღლესი კლასის ფეხბურთელია საჭირო. ჩვენ ნამდვილად გვყავს ისეთი დონის მოთამაშეები, რომლებიც თუნდაც საფრანგეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ მოხვდებოდნენ. სოლ კემპბელს, დევიდ ბექემს, სტივენ ჯერარდს, პოლ სქოულზსა და მაიკლ ოუენს ევრო 2004-ის მონაწილე ყველა გუნდი ინატრებდა.

— რადგან პირველი შეხვედრა ფრანგებთან გელით...

— სწორედ ეს მატჩი გვაჩვენებს, რეალურად როგორი გუნდია ინგლისი. თუ მოვიგეთ, საკუთარი თავის რწმენა შეგვემატება. კარგია, რომ ფრანგებს თავშივე ვხვდებით. წაგების ან ფრის შემთხვევაში, ვითარების გამოსწორების შანსი გვრჩება.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

A ჯგუფი. III ტური

იტალია 1:0 ხორვატია
1:0 დე როსი (22)
გაძევება: დელ ნერო (62, იტალია)

ბელარუსი 1:2 სერბეთი
1:0 შკაბარა (13), 1:1 ლაზოვიჩი (47პ), 1:2 მილოვანოვიჩი (55)
გაძევება: კალაჩუ (14, ბელარუსი), ა. გლები (57, ბელარუსი)

საბოლოო ცხრილი

იტალია	3	2	0	1	4:3	6
სერბეთი	3	2	0	1	6:5	6
ბელარუსი	3	1	1	1	4:4	4
ხორვატია	3	0	1	2	3:5	1

იტალია და სერბეთი გავიდნენ ნახევარფინალში

პოლონეთი

თასის ფინალი. საპასუხო მატჩი

ლეგია 1:0 ლეხი (0:2)
1:0 ვლოდარჩიკი (67პ)

ნორვეგია

ტიპელიგა. IX ტური

ოდ გრენლანდი 1:1 მიოლდე

ტრომსიო	9	6	1	2	18:8	19
ოდ გრენლანდი	9	4	4	1	16:10	16
ჰამ კამი	9	4	4	1	10:7	16
ვოლერენგა	9	3	5	1	9:8	14
ბრანი	9	4	1	4	13:10	13
რუსენბორგი	9	3	4	2	13:13	13
ლინი	9	3	3	3	8:7	12
ვიკინგი	9	2	5	2	7:9	11
ლილესტრიომი	9	2	4	3	11:11	10
მოლდე	9	2	4	3	10:11	10
სტაბეკი	9	3	1	5	10:14	10
ბოდიო გლიმტი	9	3	1	5	10:15	10
ფრედრიკსტადი	9	2	2	5	13:19	8
სოგნდალი	9	1	3	5	12:18	6

ევრო-2004. C ჯგუფი: იტალია დანია, შვედეთი, ბულგარეთი

ახალი აძურა ძველი ჩვევებით





განრიგი

14 ივნისი
გიმარაეში. „აფონსო ენრიკეში". 21.00
დანია – იტალია

18 ივნისი
პორტუ. „დრაგაუ". 23.45
იტალია – შვედეთი

22 ივნისი
გიმარაეში. „აფონსო ენრიკეში". 23.45
იტალია – ბულგარეთი

იტალია შესარჩევ ჯგუფს გაჭირვებით თუ გაივლის და დიდი შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე ჯახირით მოხვდება, არ გაგიკვირდეთ. ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, „სკუადრა აძურა" მაინც ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება. ასე ყოფილა ათაბაბადან და ინებეთ, ასეა დღესაც.

თუ გახსოვთ, შესარჩევი ტურნირი რომ დაიწყო, სამი ტურის შემდეგ ხალხი ფიქრობდა, იტალიელებმა დიდი-დიდი, მეორე ადგილი მოიპოვონ და პლეი ოფში მოხვდნენ, პირველ ადგილზე გასვლაზე კი ლაპარაკიც ზედმეტიაო. ეს იყო მეცხრე შესარჩევი ჯგუფი. ჯერ იყო და, „სკუადრა აძურამ" სერბეთისა და ჩერნიგორიის ნაკრებთან (ძველებურად რომ ვთქვათ იუგოსლავიასთან) შინ 1:1 ითამაშა, ამ თამაშიდან ოთხი დღის შემდეგ კი კარდიფში უელსთან წააგო 1:2.

ამ ორ შეხვედრაში იტალიელი ფეხბურთელები მეტისმეტად დამძიმებულნი და დათრგუნულნი ჩანდნენ, რაც, ალბათ, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს ბრალი იყო, მაგრამ მერე ყველაფერი გამოსწორდა. ჯოვანი ტრაპატონიმ „სკუადრა აძურას" გამოსადეგი ტაქტიკა მოარგო, წამყვანმა ვარსკვლავებმა ფორმა აღიდგინეს, ხოლო ახლებმა ახალგაზრდული ჟინით გამოიჩინეს თავი და შედეგიც მიიღეს: იტალიამ შესარჩევი ჯგუფი ცხრილის სათავეში დაასრულა.

რაც შეეხება ტრავმებს: ტრაპატონის გუნდს ჯანმრთელობის პრობლემა მაინც სერიოზულად გასდევდა მთელი შესარჩევი შეჯიბრების განმავლობაში და სწორედ ამ პრობლემის ბრალი იყო თვით კრისტიან ვიერიმ, ფრანჩესკო ტოტიმ და ალესანდრო დელ პიერომ რომ გამოტოვეს ბევრი შეხვედრა.

მაგრამ ტრაპატონი არსად წასულა, პირიქით, საქმეს საკმაოდ მშვიდად და ძალიან სერიოზულად მიუდგა: რეფორმები წამოიწყო. ამხანაგური მატჩები ტრაპმა ძირითადად შემადგენლობის საბრუნებლად და ახალგაზრდათა საქმეში ჩასართველად გამოიყენა. მარკო დი ვაიო და ბერნარდო კორადი თავდასხმაში, ხოლო მატეო ფერარი დაცვაში, ფაბიო კანავაროს ან ალესანდრო ნესტას მაგივრად — ეს ყველაფერი ამ ამხანაგურებში იხვეწებოდა. რადიკალური ცვლილებები მოხდა ნახევარდაცვაშიც, სადაც კრისტიანო ძანეტიმ და სიმონე პეროტამ გამოავლინეს წყვილად თამაშის ცოდნა. ასე განსაჯეთ, გამოიძებნა თვით პაოლო მალდინის შემცვლელიც. დაცვის მარცხენა ფრთაზე ეს პოზიცია ჯანლუკა ძამბროტას ერგო. გამოჩნდა დაბადება-აღზრდით არგენტინელი, სისხლით კი იტალიელი მაურო კამორანეზიც.

ერთი სიტყვით, როდესაც დრო გავიდა და საქმე ზემონახსენები თამაშების საპასუხო დღეებს მიადგა, „სკუადრა აძურა" უკვე სხვა გუნდად წარმოჩნდა. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ტრაპატონის რეფორმათა შედეგი უელსთან შეხვედრაში გამოჩნდა. იმ დღეს იტალიამ 4:0 მოიგო, ხოლო სამი გოლი ფილიპო ინძაგიმ შეაგდო.

ახლა იმ ფეხბურთელებზე ვთქვათ, ვინც ამ შესარჩევი ციკლის მსვლელობისას საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი ძირითადში. უპირველეს ყოვლისა, ეს, ალბათ, „მილანის" წყვილზე, ჯენარო გატუზოსა და ანდრეა პირლოზე ითქმის, მაგრამ ისინი ნახევარმცველები არიან და როგორც ზემოთ გითხარით, იმ რგოლში დამკვიდრდნენ, სადაც „სკუადრა აძურას" ერთიხანობა პრობლემები ჰქონდა. სხვა საქმეა დღევანდელი იტალიის აშკარად ვარსკვლავურ თავდასხმაში ახალი მოთამაშის გამოჩენა. ეს ახალი მოთამაშე ანტონიო კასანო გახლავთ.

და ბოლოს, იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთა შორის გვარების მიხედვით ერთ-ერთი უძლიერესია, მაგრამ ხომ იცით, გვარები ჩემპიონობის გარანტია ყოველთვის არ არის, აქ უფრო საგულისხმო მეორე ამბავია: ამ ძლიერი გვარებით შედგენილ გუნდს ახალი მეტსახელი შეარქვეს, „იტალიის კლუბი"!


ანტონიო კასანო

მეკარეები

1 ჯანლუიჯი ბუფონი ---- იუვენტუსი, ტურინი
12 ფრანჩესკო ტოლდო -- ინტერი, მილანი
22 ანჯელო პერუცი ------ ლაციო, რომი

მცველები

2 კრისტიან პანუჩი ------ რომა, რომი
3 მასიმო ოდო ---------- ლაციო, რომი
5 ფაბიო კანავარო ------ ინტერი, მილანი
6 მატეო ფერარი -------- პარმა
13 ალესანდრო ნესტა ------------------ მილანი
15 ჯუზეპე ფავალი -------------------- ინტერი, მილანი
19 ჯანლუკა ძამბროტა ----------------- იუვენტუსი, ტურინი
23 მარკო მატერაცი ------------------- ინტერი, მილანი

ნახევარმცველები

4 კრისტიანო ძანეტი ---- ინტერი, მილანი
8 ჯენარო გატუზო ------ მილანი
10 ფრანჩესკო ტოტი --- რომა, რომი
14 სტეფანო ფიორე ----- ლაციო, რომი
16 მაურო კამორანეზი ------------------ იუვენტუსი, ტურინი
20 სიმონე პეროტა --------------------- კიევო, ვერონა
21 ანდრეა პირლო --------------------- მილანი

თავდამსხმელები

7 ალესანდრო დელ პიერო -- იუვენტუსი, ტურინი
9 კრისტიან ვიერი ----------- ინტერი, მილანი
11 ბერნარდო კორადი ------- ლაციო, რომი
17 მარკო დი ვაიო ------------ იუვენტუსი, ტურინი
18 ანტონიო კასანო ------------------------ რომა, რომი

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

გზა პორტუგალიამდე

IX შესარჩევი ჯგუფი

07.09.2002 ---------------- აზერბაიჯანი 0:2 იტალია
12.10.2002 ------------------ იტალია 1:1 სერბეთი
16.10.2002 ------------------- უელსი 2:1 იტალია
29.03.2003 ------------------- იტალია 2:0 ფინეთი
11.06.2003 ------------------- ფინეთი 0:2 იტალია
06.09.2003 -------------------- იტალია 4:0 უელსი
10.09.2003 ------------------ სერბეთი 1:1 იტალია
11.10.2003 --------------- იტალია 4:0 აზერბაიჯანი

საბოლოო ცხრილი

იტალია	8	5	2	1	17:4	17
უელსი	8	4	1	3	13:10	13
სერბეთი	8	3	3	2	11:11	12
ფინეთი	8	3	1	4	9:10	10
აზერბაიჯანი	8	1	1	6	5:20	4

ევრო-2004. C ჯგუფი: იტალია დანია, შვედეთი, ბულგარეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

დაალოკეთ მოხუცი!

ჯოვანი ტრაპატონი იტალიური საკლუბო ფეხბურთის ყველაზე წარმატებული მწვრთნელია, თუმც ახლა 2004 წელია და მან უნდა დაამტკიცოს, რომ სანაკრებო დონეზეც უძლიერესთა შორისაა. ისე, ბევრი რამ მაინც იღბალზე იქნება დამოკიდებული.

დავუბრუნდეთ საკლუბო დონეს: ტრაპი იტალიის შვიდგზის ჩემპიონი გახლავთ — თასებზე მოდით, ნულარ ვილაპარაკებთ. ზემოხსენებული სკუდეტოები ისეთ გუნდებში აქვს მოპოვებული, როგორიც „იუვენტუსი“ და „ინტერი“ გახლავთ. მასვე აქვს მოპოვებული ყველა ევროთასი, საკონტინენტთაშორისო თასი და ცხადია, წვრილ-წვრილებიც.

აი, სანაკრებო ამბავი კი ასეა: ორი წლის წინ იტალია მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან ერთ-ერთმა თანამასპინძელმა, კორეამ გააგდო და ამისთვის ტრაპს საშინელი კრიტიკა დაატყდა თავს. მართალია, იმ მატჩის ბედის გადაწყვეტაში ლომის წილი დღეს უკვე სკანდალურად ცნობილმა ეკვადორელმა მსაჯმა, ბაირონ მორენომ დაიდო, მაგრამ ტრაპს ტრაპისა ხვდა — იტალია ხომ როგორც ყოველთვის, მაშინაც ფავორიტთაგანი იყო. საინტერესოა, რომ ზოგმა კრიტიკოსმა მწვრთნელს მეტისმეტი იტალიელობა დასწამა, ანუ დაცვისადმი ზედმეტი ერთგულება დაუწუნა.

მაგრამ ტრაპი თანამდებობაზე დარჩა და ეს რომ ასე მოხდა, ალბათ მაინც მორენოს უნდა უმადლოდეს.

შემდეგ დაიწყო ევრო 2004-ის შესარჩევი ეტაპი და, როგორც დღევანდელი წარდგენის ზოგად წერილში მოგახსენეთ, „სკუადრა აძურამ“ თავი ცუდად წარმოაჩინა. კრიტიკოსებსაც სხვა რა უნდოდათ, ეს ტრაპი რომ მოსაშორებელია, როგორ ვერ ხვდებითო, გაიძახოდნენ. თუმცა ფეხბურთის ფედერაციამ ყურში ბამბა დაიცო და 67 წლის მაესტროს კიდევ ერთი შანსი მისცა.

ზევით მოგახსენეთ, რომ ტრაპმა შემადგენლობის ტრიალი დაიწყო და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ჯერ ერთი, „სკუადრა აძურა“ მეცხრე შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და მეორეც, დღეს პორტუგალიაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალანსებული და გააზრებული შემადგენლობა მიჰყავს.

და კიდევ ერთი: ორი წლის წინანდელსა და დღევანდელ „სკუადრა აძურას“ შორის სერიოზული განსხვავებაა: ორი წლის წინ ტრაპს, როგორც გითხარით, მეტისმეტ იტალიელობაში სდებდნენ ბრალს, დღეს კი კრიტიკოსთა მეორე ფრთა გაღმა დავობს, ამდენი თავდამსხმელი რა იტალიის საქმეა, ეგ ტრაპი დააოკეთო.

ვფიქრობთ, არ არის ეგ კაცი დასაოკებელი.

თქვენ ხედავთ, ტოტის?

მორჩა, ფრანჩესკო ტოტი იტალიის ნაკრების ამომავალი ვარსკვლავი აღარ არის. ის ამოსულია და „სკუადრა აძურას“ ცენტრალური ფიგურაც გახლავთ.

ფრანჩესკო ტოტი „რომაში“ თამაშობს და დაგვეთანხმებით, საქმე ასე აქვს აწყობილი: თუ გუნებაზეა და ინდომებს, „რომა“ იგებს, თუ არა და ვერც დანარჩენი რომაელები დაიკვეხნიან წარმატებით. ბოროტი ენები კი ამბობენ, რომ ზუსტად იგივე ამბავი ტრიალებს იტალიის ეროვნულ გუნდში.

ამ ენების მტკიცებით, ჯოვანი ტრაპატონიმ „სკუადრა აძურა“ 27 წლის ტოტის გარშემო ააწყო და მას ძირითად როლად გამთამაშებლობა თუ დამხმარე თავდამსხმელობა, ერთი სიტყვით, შემოქმედებითი საქმიანობა განუსაზღვრა. ტოტი უკანაც ჩამოირბენს და მოედანზე სხვებთან შედარებით თავისუფლად, თავისი ალღოს შესაბამისად დაიკავებს ადგილს. ეს, ბატონებო, ის პოზიციაა, საიდანაც ტოტი უნდა იმ თავის ცნობილ პასს გადააწოდებს და უნდა კარში დასცხებს იმ თავისი ცნობილი დარტყმით. აღსანიშნავია, რომ ტრაპატონი არ მოერიდა და ფეხბურთელს, არც მეტი, არც ნაკლები, გენიოსი უწოდა.

ამიტომ ჩვენ ასე ვთქვათ: ვეთანხმებით იტალიის ნაკრების მწვრთნელს, რომ ტოტი გენიოსია, ოღონდ... ჯერ მხოლოდ სერია A-ში, სადაც მის წინააღმდეგ მეტწილად საშუალო და სუსტი იტალიური გუნდები თამაშობენ, აი, დიდ სარბიელზე კი ველით, ბატონო.

და, სანამ ფრანჩესკო ტოტის ქომაგები ჩვენს წინა აბზაცზე განრისხდებიან, დავძინოთ, რომ ტოტის დიად სარბიელზე გამოჩენას მოუთმენლად ელის თავად ვარსკვლავიც უფრო სწორად, თუ ვინმე ელის, უპირველეს ყოვლისა ის, რადგან აბსოლუტურად დარწმუნებულია თავის განსაკუთრებულობაში და უნდა ეს მთელი მსოფლიოს ბრმებს დანახოს. გახსოვთ, როგორ აღშფოთდა, როდესაც გასული წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ჩეხი პაველ ნედვედი დასახელეს? მან თქვა, რომ ყველაფერი ერთი რამის ბრალია: ის, ფრანჩესკო ტოტი, „რომაში“ თამაშობს, „რომას“ კი დიდი სარბიელი აკლია და ტიტულების მოპოვება უჭირს. მოკლედ, ტოტი ჩემპიონი არ არის.

და ამიტომაც ელიან ფრანჩესკო და მისი ნიჭის დამფასებლები მოუთმენლად ევროპის ჩემპიონატს. შემდეგი კვირიდან ხომ ტოტი „რომას“ წევრი კი არა, უძლიერესი „სკუადრა აძურას“ ლიდერი იქნება.

არ დაარღვიო კანონი, ვილაპარაკოთ ნესტაზე

წარადგენდე იტალიის ნაკრებს და მცველზე არაფერი თქვა? არა, ეს დაუშვებელია, ასეთი რამ საფეხბურთო ჟურნალისტიკის კანონებით უნდა იკრძალებოდეს, რადგან იტალიაში ნებისმიერ ადამიანს დნმ-ში აქვს მცველობის კოდი ჩადებული.

ერთი სიტყვით, ალესანდრო ნესტაზე ვაჩერებთ თქვენს ყურადღებას, დღეს „მილანის“, მანამდე კი „ლაციოს“ მცველზე, რომელიც, როგორც თავად ამბობს, იმითაა გამორჩეული, რომ ბუნებამ ყურადღების სხვებზე მეტი ხნით მოკრების ნიჭით დააჯილდოვა.

ნესტა 28 წლისაა და შეიძლება ითქვას, „სკუადრა აძურაში“ მასზე გამოცდილი ბევრი არავინაა. ხუმრობა ხომ არ არის, 58 მატჩი აქვს კაცს ცისფერი მაისურით ნათამაშები და ამ 58 შეხვედრაში შედის ოთხი დიდი ტურნირი — ორი ევროპა და ორიც მსოფლიო.

ნესტა რომაელია, სკოლაში „ლაციო“ ზრდიდა და პირველი თამაში სერია A-ში 1994 წლის მარტში ჩაატარა — ჯერ თვრამეტისაც არ იყო.

20 წლისამ უკვე ნაკრებში ითამაშა და შემდგომ წელიწადს, ფაბიო კანავაროსთან ერთად „ტურნუა დე ფრანსზე“ ითამაშა.

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე ნესტამ ორი თამაში ბრწყინვალედ ჩაატარა, შემდეგ კი კუნთი გაუწყდა. 2000 წელს ევროპის ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი, ხოლო 2002 წელს მუნდიალზე ფეხი ტკიოდა, ყველა მატჩში სრულყოფილად ვერ ითამაშა და ყველამაც დაინახა, რომ თვით იტალიის დაცვაც კი ნესტას გარეშე კოჭლია.

გაიღიმე, ნუ იბღვირები, ბობო!

კაცმა, რომელიც გუნდს ან სტადიონზე არ მიჰყვება, ან თუ მივა და ავტობუსიდან არ ჩამოდის, რომელიც გოლს რომ გაიტანს ყველას დასანახად, გულის გასახეთქად იბღვირება და კიდევ სხვა ასეთებს სჩადის, იქნებ ნაკრებში მაინც გაიხაროს.

და ისე, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა... უფრო სწორად, რატომ ვერ უნდა გაიხაროს? აქედან თუ დელ პიერო ჩააწოდებს ბურთს, იქიდან ტოტი, მოედნის სიღრმიდან კი პირლო გაიყვანს საგოლე პოზიციაზე, რატომღა უნდა იბღვიროს?

ისე, თუ გახსოვთ, იტალიამ სიცილიაში ფინეთს როგორ მოუგო? შეგახსენებთ, ტოტიმ და ვიერიმ გემოზე იბურთავეს და მერე ბობომ თქვა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მე და მეგობარი პარკში ვთამაშობდითო. ჰოდა, სწორედ ბობოზე მოგახსენებთ, კრისტიან ვიერიზე, რომელიც „ინტერში“ იბღვირება.

ბობო ბოლონიაში დაიბადა, მაგრამ აღზრდით და დაკაცებით ავსტრალიელია, უყვარს მარტივად და ჯიგრით თამაში, მოედანს გარეთ კი ფეხბურთზე ლაპარაკი სულ არ უნდა.

ვიერი უკვე შვიდი წელიწადია, „სკუადრა აძურას“ წევრია, პლუს ხუთი წელია, „ინტერში“ თამაშობს, მაგრამ გინდა დაგვიჯერეთ, გინდა არა, ბომბარდირობას და პირად რეკორდებს თუ არ ჩავთვლით, გუნდური ჯილდო არ მოუგია. პირადი ამბავი კი იცოცხლეთ, აი, თუ გინდათ ნაკრებში: 39 თამაშში 22 გოლი!

„სკუადრა აძურაში“ ბობომ პირველად 1997 წლის მარტში, მოლდოვასთან ითამაშა და გოლი შეაგდო. მას მერე ნაკრების წამყვანი ფორვარდია.

1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მან ხუთ თამაშში ხუთი გოლი გაიტანა, ხოლო ევრო 2000-ზე ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

შემდეგ იყო 2002 წლის მუნდიალი იაპონიასა და კორეაში, სადაც სულ პირველ დღეს ეკვადორს ორჯერ გაუტანა, მაგრამ ეს ვის ახსოვს. ყველაზე მეტად მსოფლიო მეხსიერებას კორეასთან საბედისწერო მატჩში ახლოდან ცარიელ კარში აცილება შემორჩა. ვაი, შენს ბობოს!

ახლა, პორტუგალიაში ვიერი 31 წლისა გახდება და მერე ვინ იცის, კიდევ რამდენს ითამაშებს... ხოლო „ინტერი“ — ამით დავიწყეთ და ბარემ ამით დავასრულოთ — მისი მეათე გუნდია, ათივეს რა ჩამოთვლის.

გრანდიოზული შენობის პორტუგალიური საძირკველი

აბრამოვიჩმა და მაურინიუმ ხელი ხელს დაჰკრეს

რომან აბრამოვიჩი კლაუდიო რანიერის „ჩელსიში“ დიდხანს რომ არ გააჩერებდა, ყველამ დიდი ხანია, იცოდა. იტალიელი ერთ სეზონსაც ვერ გაძლებდა, რუს მილიარდერს სასურველი მწვრთნელი აქამდე რომ მოეძებნა. გეხსომებათ, „ჩელსის“ მეპატრონეს სვენ გორან ერიკსონის წაყვანა სურდა ინგლისის ნაკრებიდან და არ გამოუვიდა. ბოლო კვირეები კი გაუთავებლად ლაპარაკობდნენ „ჩელსიში“ ჟოზე მაურინიუს მისვლის შესახებ და საქმე ისე მიდიოდა, რომ ძალიან მალე უნდა გადაწყვეტილიყო.

ჟოზე მაურინიუს „ჩელსის“ მწვრთნელად დანიშვნა საბოლოოდ გუშინ გადაწყდა — პორტუგალიელმა 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი

— „ჩელსიმ“ ფანტასტიკური წინადადება შემომთავაზა — თქვა დანიშვნისთანავე მაურინიუმ — ეს დიდი კლუბია და მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ჰყავს. „ჩელსის“ ამბიცია სრულად შეესაბამება ჩემსას და დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები იმას მიიღებენ, რაც სურთ. ამასთანავე, ინგლისური პრემიერლიგა საუკეთესოა მსოფლიოში.

„ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა კი თქვა: „ჟოზე მაურინიუ იმ გრანდიოზული შენობის საძირკველია, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ. ის მწვრთნელთა ახალი თაობის წარმომადგენელია და გვწამს, რომ „ჩელსის“ უმაღლეს მწვერვალებზე აიყვანს, როგორც პრემიერლიგაში, ასევე ევროპაში“.

მაურინიუს ხელფასის თაობაზე ხმამაღლა არაფერი თქმულა, თუმცა ინგლისელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, მაურინიუ მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი იქნებაო. ამბობენ, აბრამოვიჩს პორტუგალიელისთვის კვირაში 100 ათასი გირვანქა ემეტებაო.

მწვრთნელზე, რომელმაც ევროპული საზომით გრანდს კი არა, უბრალოდ კარგ გუნდს ზედიზედ მოაგებინა უეფას თასი და ჩემპიონთა ლიგა, თითქოს სათქმელიც არაფერია, ანუ მის კვალიფიკაციაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. მაგრამ მოდით, ორიოდ სიტყვა მაურინიუს სასელექციო ნიჭზეც ვთქვათ, რაკი ამაზე ბევრი არაფერი დაწერილა, არადა, ძალიან საინტერესო თემაა.

ჟოზე მაურინიუმ „პორტუში“ მიიყვანა იქამდე არაფრით გამორჩეული ნუნუ ვალენტე და დერლეი. „ბენფიკას“ სარეზერვო გუნდში მოძებნა მანიშე რიბეირუ, პირადად მისი აღმოჩენილია დეკო სოუზა. „ბარსაში“ მუშაობისას მისი რეკომენდაციით მიიყვანეს ლუიშ ფიგუ და რივალდო.

მეტი რა დავამატოთ?

ახლა კი მაურინიუ ამბობს: „თუ მომდევნო ათ სეზონში იმაზე მეტი ჯილდო ვერ მოვიხვეჭე, რაც უკვე მოგებული მაქვს, ჩავთვლი, რომ ცუდად ვმუშაობ.“

მას უკვე ძალიან ბევრი რამ აქვს მოგებული.

ირაკლი ნინიძე

სტემფორდ ბრიჯზე ჟოზე მაურინიუს ხანა იწყება

ჟოზე მაურინიუ

დაიბადა 1963 წლის 26 იანვარს სეტუბალში, პორტუგალია

1987: ფეხბურთელის ხანმოკლე კარიერის მერე, რომლის დროსაც სათადარიგოთა სკამიდან იშვიათად დგებოდა, უეფას სამწვრთნელო კურსი გაიარა

1990-92: რამდენიმე პატარა კლუბში ფიზმომზადების მწვრთნელად იმუშავა. მერე სეტუბალის „ვიტორიაში“ ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა, შემდეგ კი „ესტრელა ამადორაში“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყო

1992: ლისაბონის „სპორტინგში“ ბობი რობსონის თარჯიმნად დაიწყო მუშაობა, მოგვიანებით კი რობსონის თანაშემწე გახდა

1994-96: რობსონს „პორტუში“ წაჰყვა და იქაც მის ასისტენტად მუშაობდა. ამ პერიოდში გუნდი ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თასი და სუპერთასიც მოიგო

1996: რობსონი „ბარსელონაში“ გადავიდა და იქაც მისი თანაშემწე იყო. „ბარსელონამ“ სამეფო თასი, ესპანეთის სუპერთასი და ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო

1997-2000: რობსონის წასვლის მიუხედავად „ბარსელონაში“ დარჩა და ლუის ვან გაალის თანაშემწე გახდა. მოგვიანებით, კლუბის სელექციონერი შეიქნა. ამ პერიოდში „ბარსელონა“ ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი

2000: დაინიშნა „ბენფიკას“ მთავარ მწვრთნელად, მაგრამ კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოების გამო გუნდი მალე დატოვა

2001: „ლეირიას“ მთავარი მწვთნელი გახდა

2002: შუა სეზონში, იანვარში, როცა „ლეირია“ ჩემპიონატში მესამე ადგილზე იყო, ბოლოდან მესამე ადგილზე მყოფ „პორტუში“ გადავიდა

2003: „პორტუმ“ პორტუგალიის ჩემპიონობა, თასი, სუპერთასი და უეფას თასი მოიგო

2004: „პორტუ“ ისევ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის ფინალში კი „მონაკო“ დაამარცხა. 2 ივნისს „ჩელსისთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

რანიერი ვალენსიაში ბრუნდება

იტალიელი ესპანელებს შინაურულად ელაპარაკა

გუშინ გამოცხადდა, რომ კლაუდიო რანიერიმ პირადი საკითხები მოაგვარა ესპანურ „ვალენსიასთან“ და მალე დაბრუნდება გუნდში, სადაც 5 წლის წინ მუშაობდა.

ოღონდ რანიერი „ვალენსიასთან“ კონტრაქტს ხელს მას შემდეგ მოაწერს, როგორც კი „ჩელსისთან“ ოფიციალურ გაყრას გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ იტალიელს „არისტოკრატებთან“ კიდევ სამი წელი უნდა ემუშავა, მაგრამ რომან აბრამოვიჩმა არ აცალა.

„მე ძალიან ახლოს ვარ „ვალენსიას“ მწვრთნელობასთან. ჩემი სახლი ახლა იქაა“ — განაცხადა 52 წლის რანიერიმ. „ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, პიტერ კინიონმა კი თქვა, რომ იტალიელს აქამდე რაც ეკუთვნოდა, სრულად გავუსტუმრეთ, ახლა კონტრაქტის გაწყვეტის გამო კომპენსაცია უნდა გადავუხადოთო.

კლაუდიო რანიერი „ვალენსიას“ 1997-99 წლებში წვრთნიდა და გუნდმა მისი თავკაცობით ესპანეთის სამეფო თასი მოიგო.

ვალენსიელი ვისენტეს აზრით, რანიერი რაფაელ ბენიტესის იდეალური შემცვლელი იქნება: „მას დიდ გუნდებში უმუშავია და აქაური ვითარებაც ძალიან კარგად იცის. ვიმედოვნებ, ახალ მწვრთნელთან პრობლემები არ შეგვექმნება“.

ვაჟა ხუციშვილი

იყიდება!

პერსონალური კომპიუტერები



პენტიუმ 1
(200 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 64 MB,
HDD — 1,2 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1 MB,
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — SAMSUNG SYNCMASTER 15”

ფასი — 100 $

პენტიუმ 1 (166 MMX)
ოპერატიული მეხსიერება — 38 MB,
HDD — 2,0 GB,
ვიდეო მეხსიერება — 1-4 MB (On Board),
Sound, Speakers, FDD, CD-ROM, MOUSE, KEYBOARD
მონიტორი — LG STUDIOWORKS 15”

ფასი — 100 $

ტელეფონი: 39-48-29, 38-11-14

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

12 ივნისი									
21.00	001	პორტუგალია-საბერძნეთი	1,55	3,3	7,0	1,05	1,26	2,24
23.45	002	ესპანეთი-რუსეთი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
13 ივნისი								
21.00	003	შვეიცარია-ხორვატია	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
23.45	004	საფრანგეთი-ინგლისი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
14 ივნისი								
21.00	005	დანია-იტალია	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
23.45	006	შვედეთი-ბულგარეთი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
15 ივნისი								
21.00	007	გერმანია-ჰოლანდია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
23.45	008	ჩეხეთი-ლატვია	1,35	4,0	9,0	1	1,17	2,76
16 ივნისი								
21.00	009	საბერძნეთი-ესპანეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
23.45	010	რუსეთი-პორტუგალია	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
17 ივნისი								
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,55	2,21	1,23	1,07
18 ივნისი								
21.00	013	ბულგარეთი-დანია	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
23.45	014	იტალია-შვედეთი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
19 ივნისი								
21.00	015	ლატვია-გერმანია	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
20 ივნისი								
23.45	017	ესპანეთი-პორტუგალია	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.45	018	რუსეთი-საბერძნეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
21 ივნისი								
23.45	019	ხორვატია-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
23.45	020	შვეიცარია-საფრანგეთი	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
22 ივნისი								
23.45	021	იტალია-ბულგარეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
23.45	022	დანია-შვედეთი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23 ივნისი								
23.45	023	ჰოლანდია-ლატვია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.45	024	გერმანია-ჩეხეთი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38

	6001 ჩემპიონი	6101 ფინალი	6201 ჯგ.ადგ.	6301 ჯგ.ბავა	6401 ჯგ.ვერ.ბავა
საფრანგეთი	4,5	2,2	1,75	1,15	4,0
იტალია	4,5	2,2	1,65	1,12	4,4
პორტუგალია	6,0	3,0	2,1	1,2	3,5
ესპანეთი	6,0	3,0	2,1	1,25	3,1
ინგლისი	6,0	3,0	2,5	1,3	2,8
ჰოლანდია	8,0	4,0	2,5	1,3	2,8
ჩეხეთი	12,0	6,0	2,8	1,5	2,2
გერმანია	15,0	7,0	3,1	1,55	2,1
შვედეთი	25,0	12,0	4,5	1,9	1,7
დანია	30,0	13,0	4,6	1,95	1,65
რუსეთი	50,0	25,0	8,0	3,2	1,23
ხორვატია	50,0	20,0	8,0	2,9	1,27
ბულგარეთი	50,0	25,0	7,5	2,9	1,27
საბერძნეთი	75,0	35,0	8,0	3,8	1,16
შვეიცარია	75,0	35,0	12,0	3,8	1,16
ლატვია	200,0	75,0	30,0	8,0	1,02

CROCO BOOKMAKERS
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით
CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%
შესაძლო
ცვლილებები
ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოლანდია. პლეი-ოფი						
		3 ივნისი						
23.00	065	ვიტესი-სპარტა	1,6	3,4	4,8	1,08	1,2	1,99
23.00	066	ჰელმონდი-ვენლო	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
23.00	067	ვოლენდამი-ჰერაკლესი	5,0	3,6	1,3	2,09	1,03	1
23.00	068	ექსელსიორი-გრააფსხაპი	1,9	3,4	2,4	1,21	1,06	1,4
		შვედეთი. სუპერეტა. VIII ტური						
		5 ივნისი						
19.00	101	ფრიოლუნდა-ნორჩიოპინგი	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
19.00	102	ენჩიოპინგი-ატვიდაბერგი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
19.00	103	ფალკენბერგი-გეფლე	3,4	3,3	1,9	1,67	1,21	1,2
		6 ივნისი						
18.00	104	ფრისკა-ვესტეროსი	3,4	3,3	1,9	1,67	1,21	1,2
19.00	105	იოსტერსი-ბოდენსი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
20.00	106	ოპერა-გაის	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
20.10	107	ბრომაპოიკარნა-ასირისკა	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
		ნორვეგია. ტიპელიგა. X ტური						
		6 ივნისი						
21.00	119	ფრედრიკსტადი-ლინი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
21.00	120	რუსენბორგი-ჰამარი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
21.00	121	მოლდე-სოგნდალი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
21.00	122	ვოლერენგა-ოდ გრენლანდი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
21.00	123	ბრანი-ტრომსიო	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
23.15	124	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
		7 ივნისი						
22.00	125	ლილესტრიომი-სტაბეკი	1,8	3,3	3,8	1,16	1,22	1,76
		ნორვეგია. I დივიზიონი. X ტური						
		6 ივნისი						
21.00	138	ბრინი-კონგსვინგერი	2,05	3,6	2,8	1,3	1,18	1,57
21.00	139	ჰიოდი-პორს გრენლანდი	1,75	3,6	3,5	1,17	1,16	1,77
21.00	140	მანდალი-მოსი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
21.00	141	რაუფოსი-სკეიდი	2,4	3,5	2,35	1,42	1,18	1,4
21.00	142	სანდეფიორდი-ალესუნდი	2,45	3,5	2,3	1,44	1,18	1,38
21.00	143	სტარტი-ჰიონეფოსი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
21.00	144	ტრომსდალენი-სტრიომსგოდსეტი	3,2	3,6	1,85	1,69	1,17	1,22
21.00	145	ვარდ ჰაუგესუნდი-ჰაუგესუნდი	3,1	3,6	1,9	1,66	1,17	1,24
		ფინეთი. ვეიკუსლიგა. VII ტური						
		3 ივნისი						
20.00	148	ჰაკა-ტპ 47	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
20.30	149	ლაჰტი-ჰაამეენლინა	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
20.30	150	როვანიემი-მიუპა	3,2	3,2	2,05	1,6	1,24	1,24
20.30	151	ტურკუ-ტამპერე	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
20.30	152	კტპ-ინტერი	2,4	3,2	2,4	1,37	1,2	1,37
20.30	153	ალიანსი-ჰიკ	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
		ირლანდია. პრემიერლიგა. XIV ტური						
		3 ივნისი						
23.45	180	დუბლინი-შელბურნი	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
		4 ივნისი						
23.45	181	ბოჰემიანი-დერი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
23.45	182	კორკი-სტ.პატრიკსი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
23.45	183	შემროკი-დროგედა	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
23.45	184	ლონგფორდი-უოტერფორდი	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
		მექსიკა. კლაუსურა						
		3 ივნისი						
00.00	227	კრუს ასული-პუმასი	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41
		ამხანაგური მატჩები						
		3 ივნისი						
23.30	291	ლიხტენშტაინი-საბერძნეთი	20,0	6,0	1,03	4,61	1	1
		ჰოკეი. NHL						
		3 ივნისი						
05.00	1002	ტამპა ბეი-კალგარი	1,75	3,6	3,4	1,17	1,15	1,74

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27
	ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	კოსტავას ქუჩა №23
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16
წნორი	სტალინის ქუჩა №1
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7

ძრწოდეთ, ბიჭბუჭებო! პაუელი ბრუნდება

დროულ გულშემატკივრებს გეხსომებათ — 1991 წელს ტოკიოში ძალოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ამბები დატრიალდა სიგრძეზე ხტომაში. ოლიმპიური ოქროს ზედიზედ ოთხჯერ მომგებმა კარლ ლუისმა 8,91 მეტრი იფრინა და 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადაზე ბობ ბიმონის დამყარებული რეკორდი 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

ამ ახალმა რეკორდმა ძველთან განსხვავებით დროს ვერ გაუძლო. ტოკიოს ჩემპიონატის მომდევნო, ანუ მეხუთე რაუნდში 27 წლის ამერიკელი მაიკ პაუელი ლუისის ახალ რეკორდს მთელი 4 სანტიმეტრით გადაახტა. 8,95 მეტრი! ასეთი იყო ახალგაზრდა მაიკის შედეგი. ეს რეკორდი ჯერაც ძალაშია.

ორი წლის შემდეგ პაუელი კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მაგრამ ოლიმპიადებზე ლუისი იმარჯვებდა — 1988 წელს სეულშიც და 1992 წელს ბარსელონაშიც პაუელი ოქროს გარეშე დარჩა...

სწორედ ეს ჩარჩა გულში დიდ სპორტსმენს.

წლეულს ათენის ოლიმპიადაა. მაიკის რეკორდი 13 წლისაა. თავად პაუელმა კი უკვე 40 წელს გადააბიჯა და იგი აცხადებს, რომ დიდ სპორტში ბრუნდება.

„ოლიმპიადა — ეს მსოფლიო სპორტის უდიდესი სპექტაკლია და მე მინდა, ამ სპექტაკლის მონაწილე გავხდე" — აცხადებს პაუელი და ამერიკის მძლეოსანთა ნაკრებში ადგილის მოპოვებას ლამობს.

„ჩემს კუნთებს რამის სწავლება არ სჭირდება, მათ მშვენივრად ახსოვთ ის მოძრაობები, რომლებიც ნახტომისას უნდა გაკეთდეს. ჩემი მთავარი ამოცანა სისწრაფეზე მუშაობაა და, რა თქმა უნდა ჯანმრთელობაც. ვიცი, რასაც ფიქრობს ხალხი. მათი აზრით, 40 წლის კაცი სპორტისათვის უკვე ჩამოსაწერია, მაგრამ მე არც გამოვიყურები, როგორც 40 წლის ადამიანი და არც თავს ვგრძნობ მოხუცად" — აცხადებს მაიკი და ამით ალბათ იმ ჭეშმარიტების დამტკიცებაც სურს, რომ ადამიანი იმდენი წლისაა, რამდენადაც თავად გრძნობს თავს.

წლევანდელ ოლიმპიადაზე ფავორიტი ამერიკელი დუაიტ ფილიპსია, რომელმაც შარშან პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოიპოვა ოქრო. ამისათვის მას სულ რაღაც 8,32 მეტრზე გადახტომა ეყო, საერთოდ კი მისი საუკეთესო შედეგი 8,44 მეტრია. თავადაც ხედავთ, თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო მხტომელი პაუელთან (თავისთავად ახალგაზრდასთან) ახლოსაც ვერ მივა. ასე რომ...

„მწამს, რომ ამის ძალა შემწევს. სისწრაფე არ დამიკარგავს, მაგრამ ვარჯიშისას 30 ნახტომის გაკეთების ძალა უკვე აღარ შემწევს" — განაცხადა პაუელმა, თან დაურთო, ჩემი ერთ-ერთი უპირატესობა გამოცდილებააო.

„იყო დრო, როდესაც მე მხოლოდ ოქროსთვის ვიბრძოდი, ახლა კი ოლიმპიურ გუნდში ყოფნაც დიდი პატივია ჩემთვის."

ლადო ფულუკიძე

ქვა ალმართში

ბერძნებს ბილეთები ჩაუწვებათ

ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა, ტერორისტულმა აქტებმა და პოლიტიკურმა დაძაბულობამ შეიძლება თავისი დაღი დაასვას ათენის ოლიმპიურ თამაშებს.

ელინთა დედაქალაქი ისეა გამაგრებული, როგორც არასდროს ჩვენ წელთაღრიცხვამდელი ოლიმპიური თამაშობებიდან დღემდე.

ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის გამოყოფილი თანხები სარეკორდოა სპორტული ტურნირებისთვის. ათენში მობილიზებული სამხედრო ნაწილები რიცხობრივად ერთიორად აღემატებიან 4 წლის წინ სიდნეის ოლიმპიადის უსაფრთხოებისთვის მზრუნველ ჯარისკაცთა რაოდენობას.

კონტროლდება საჰაერო და საზღვაო გზები, გამაგრებულია საზღვრები. მოკლედ, ათენში უკითხავად ჩიტიც ვერ შეფრინდება, არათუ ბინ ლადენი და მისი ჯურის კაცობრიობის მტრები. თუმცა ორგანიზატორები ისე გადაჰყვნენ უსაფრთხოებაზე ზრუნვას, რომ წმინდა სპორტული ინფრასტრუქტურული საკითხები ჯერაც მოუგვარებელი დარჩა. თამაშების გახსნამდე ორი თვეა დარჩენილი და ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადასაჭრელია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა თავად განიხილა ვითარება და ჟურნალისტებს განუცხადა, ნუ გეშინიათ, ბერძნები ორ თვეში ყველაფერს დაასრულებენო. ასეთ საკითხებში როგზე ავტორიტეტულს ვის უნდა ენდოს კაცი. რადგან ამბობს, ალბათ ასეც იქნება, მაგრამ ორგანიზატორებს ახლა კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდათ. საქმე ისაა, რომ ბერძნებს ბილეთები არ ეყიდებათ.

5,3 მილიონი ბილეთიდან მხოლოდ ერთი მესამედი, ანუ 1,8 მილიონია გაყიდული. არც მოსალოდნელმა ტურისტულმა ბუმმა გაამართლა და ხალხი დაეჭვდა, გამართლებული იყო თუ არა ოლიმპიადის სამშობლოში ასპარეზობის გამართვა.

შედარებისთვის: სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 7,6 მილიონი ბილეთიდან 4 მილიონი თამაშების გახსნამდე 3 თვით ადრე უკვე გაყიდული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთის საშუალო ფასი ათენის ოლიმპიადაზე 35 ევროს შეადგენს, რაც გაცილებით ნაკლებია სიდნეის ფასებზე. სიდნეიში ბილეთი საშუალოდ 53 ევრო ღირდა.

„თამაშები იმაზე ძვირი გვიჯდება, ვიდრე მოველოდით, რადგან პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა შეგვაგვიანდა" — დაიჩივლა საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა გეორგი ალოგოსკუფისმა. თამაშების აღმასრულებელმა დირექტორმა მარტინ სიმიტეკმა კი დაგვამშვიდა, რომ სიტუაცია სულაც არაა საგანგაშო, რადგან შემოსავალი, რომელიც ბილეთების გაყიდვამ უკვე მოიტანა, პროცენტულ შეფარდებაში დახარჯულ თანხებთან შედარებით გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერ წინა ოლიმპიურ თამაშებზე. „სიდნეიში გახსნამდე ორი თვით ადრე დახარჯული თანხის მხოლოდ 50 პროცენტი იყო ამოღებული" — აცხადებს სიმტრეკი.

ასე რომ, ათენის ოლიმპიადის ორგანიზებასთან დაკავშირებით ჯერაც ბევრი რამაა გასარკვევი, ჩვენ კი მხოლოდ შეგვიძლია იმედი გამოვთქვათ, რომ ეს აურზაური დაღს არ დაასვამს თამაშების სპორტულ მხარეს.

ლადო ფულუკიძე

შენც, ჯერმენ?

ამერიკის ნაკრები გაზაფხულის თოვლივით დნება

ამერიკელებს მალე გაუნელდათ სანაკრებო ერთუზიაზმი. 2002 წელს ინდიანაპოლისში გამართულ მსოფლიის ჩემპონატზე ნბა-ს არც ყველაზე დიდრონი, მაგრამ არც უსახელ ჯეელებით დაკომლექტებულმა აშშ-ს ნაკრებმა მხოლოდ მე-6 ადგილი დაიკავა. საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ 50-ვარსკვლავიანი დროშის შერცხვენამ თითქოს სამშობლოსთვის სამსახურისთვის აანთო ნბა-ს დიდმოთამაშენი. მაგალითად, კობი ბრაიანტმა დაიქადნა, 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ყველას დავუმტკიცებთ ჩვენი ნაციის უპირატესობასო, მაგრამ ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად საათენოდ შერჩეულთა სია თვალსა და ხელს შუა თხელდება.

„თუ კომიტეტი დღესვე მთხოვს გადაწყვეტილების მიღებას, ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, ჩემი პასუხი იქნება — არა" — ამბობს „ინდიანა პეისერზის" 211-სანტიმეტრიანი თავდამსხმელ-ცენტრი ჯერმენ ონილი. იგი ჭოჭმანობს და დროს ითხოვს მოსაფიქრებლად. უფრო ზუსტად კი, მას სურს, დარწმუნდეს, რომ ათენში თამაში მის ჯანმრთელობას არ ავნებს. ონილმა აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალური სერიის მეოთხე მატჩში მუხლი დაიშავა და „დეტროიტთან" ბოლი მატჩები ნახევრად ტრავმიანმა ითამაშა. ექიმებმა უთხრეს, სრულ საბრძოლო ფორმაში რომ დაბრუნდე, მუხლი მინიმუმ ოთხი თვე უნდა დაასვენოო, ათენის ოლიმპიადის დაწყებამდე კი ორ თვეზე ცოტა მეტი რჩება.

თუ ონილი ნაკრებზე უარს იტყვის, ამერიკა ოლიმპიადისთვის მე-10 დიდვარსკვლავს დაკარგავს. მანამდე სანაკრებო სიიდან ამოეწერნენ ან ჩაწერაზე თავიდანვე უარი თქვეს შაკილ ონილმა, კობი ბრაიანტმა, კევინ გარნეტმა, რეი ალენმა, ჯეისონ კიდმა, კენიონ მარტინმა, კარლ მელოუნმა, ვინს კარტერმა და ელტონ ბრენდმა. ამერიკისთვის სულ ახალი დანაკარგია ტრეისი მაკგრეიდიც.

თუ ჯერმენ ონილს არ ჩავთვლით, აშშ-ს ნაკრებს ორი დიდვარსკვლავი შერჩა — ტიმ დანკანი და ალენ აივერსონი. ნაკრებში სულ ახლახან აყვანილი ლებრონ ჯეიმსი ჯერ მთლად ასეთად ვერ ჩაითვლება.

ვერ ვიტყვით, რომ ნაკრების მწვრთნელი ლარი ბრაუნი, რომელმაც სულ ახლახან „დეტროიტი" ფინალში გაიყვანა, დიდ საგონებელშია, თუმც იგი თავისთავად ისურვებდა იმ ზემოთ ჩამოთვლილი ხალხის თავის ხელქვეით ყოლას. ონილის განცხადების შემდეგ მას განსაკუთრებით მეფარეების დეფიციტი ექმნება — ფაქტობრივად ტიმ დანკარის იმედად რჩება და ვაითუ, ამანაც უარი სტკიცოს?

ახლახან ეროვნულ გუნდში თამაშის სურვილი განაცხადა ლარი ბრაუნის უშუალო შეგირდმა ბენ ვოლესმა. 2002 და 2003 წლებში სეზონის საუკეთესო დამცველად დასახელებულმა დიდმა ბენმა ბურთის ჩაგდებაც ისწავლა, ამ პლეი ოფში 14,4 მოხსნასა და 3 დაფარებასთან ერთად მატჩში საშუალოდ 10 ქულასაც იხვეჭდა და მისებრ მუყაითი და ზორბა მოთამაშე სწორედაც მოუხდებოდა ნაკრებს. ბრაუნმაც მოიწონა, ნამდვილად კარგი კანდიდატურააო.

აშშ-ს ნაკრებისთვის მოთამაშეთა შემრჩევ კომისიას ვოლესისთვის ჯერ არაფერი უთქვამს.

კოტე ყორშია



იშვიათი შემთხვევა: ბენ ვოლესს ოლიმპიადაზე თამაში სურს

ბადრი ჯობლაძის ფოტო

შარშან თბილისის შვიდკაცაზე ზაზა ლეჟავა (მარჯვნივ) მსაჯი იყო, წელს ის ჩვენს შვიდკაცა ნაკრებს ჩამოუძღვება

ზაზა ლეჟავა გვაიმედებს: თბილისისთვის ჩამოვყალიბდებით

ლონდონში ამ შაბათ-კვირას შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის ბოლო ეტაპია. პლანეტის თექვსმეტ უძლიერესში საქართველოც გაერევა. გასულ უქმეებზე ზაზა ლეჟავას ნაკრები მსოფლიო სერიის ბორდოს ეტაპზე გამოვიდა და ბრიტანეთსაც მისი დასრულებისთანავე ესტუმრა, თუმც ლამის განახევრებული შემადგენლობით. ბორჯღალოსანთა თავკაცის განკარგულებაში გუშინ მხოლოდ შვიდი მორაგბე იყო. სრული თორმეტეულის დასახელებას კი ლეჟავა სახვალიოდ გვპირდება

საქართველოს შვიდკაცა ნაკრები ლონდონში შვიდი კაცით ჩავიდა

— ბორდოში უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით და პირველ-მეორე ადგილებზე გასვლის შანსი თითქმის არც გვქონდა მაგრამ ბოლო ადგილიც არ უნდა დაგვეკავებინა — გვიყვება ზაზა ლეჟავა — არგენტინასა და სამოასთან მარცხის შემდეგ იტალიასთანაც წავაგეთ, არადა იტალიელებს ყველაფრით ვაჯობეთ. მიუხედავად შედეგისა, ამ თამაშით კმაყოფილი დავრჩი. ერთადერთი, რამაც გული დაგვწყვიტა, არაობიექტური მსაჯობა იყო — 19:0 ვიგებდით და თამაშის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მსაჯმა ორი მოთამაშე რომ გაგვიძევა. გუნდიშვილის გაგდების მერე კიდევ შეიძლებოდა ბრძოლა, მაგრამ მას კაჭარავაც რომ მიაყოლეს და თან იტალიელებს ტექნიკური ლელოც აჩუქეს, უპირატესობის შენარჩუნება გართულდა. ორკაცნაკლული თამაში რაგბიში, მით უმეტეს, შვიდკაცაში, ძალიან ძნელია. საბოლოოდ 19:26 წავაგეთ და თორმეტეულში შესასვლელად შოტლანდიას შევხვდით. მასთანაც თითქმის თანაბარი თამაში დავთმეთ.

— შემდეგ იყო რუსეთი, რომელიც აქამდე სულ გვიგებდა...

— ბორდოში ეს ტრადიცია დავარღვიეთ და რუსები 22:14 დავამარცხეთ. გუნდმა მართლა კარგად ითამაშა და მცირე თასის მოგების შანსიც მოგვეცა, მაგრამ ესპანეთთან ველარას გავხდით. იქ უკვე მიზები ტრამები იყო, რამდენიმე მოთამაშეს მინდორზე გასვლა აღარ შეეძლო.

— რომელიმეს მძიმე ტრავმა ხომ არ მიუღია?

— ვასილ კაკაძემ კუნთი გაიწყვიტა. მას ვერც ლონდონში დავეხმართ და ველარც თბილისში. თედო ზიბზიბაძე კი ალბათ ერთ კვირაში მოკეთდება და საქართველოში თამაშს შეძლებს. დაშავდა ირაკლი მოდებაძეც, მაგრამ იგი უფრო საცდელად მყავდა გამოძახებული. ჯერ მის პოზიციაზე გარკვეული არაფერია, შანსი სხვებსაც უნდა მივცე.

— ლონდონში ახლები ვერ იქნებიან?

— ჯერ ვერ გეტყვით. ამ წუთში შვიდ კაცს ვავარჯიშებ. დანარჩენ ხუთს კი დღეს-ხვალ ველი.

— საქართველოდანაც ხომ არ დაიმატეთ ვინმე?

— სიმონ მაისურაძე და ოთარ ბარკალაია.

— თუ ტრავმირებულებს არ ჩავთვლით, ლონდონის შვიდკაცაზე უძლიერესი შემადგენლობა ჩაგყავთ?

— სამწუხაროდ, ეს არ ხერხდება. მიმდინარე მსოფლიო სერიებს თბილისისა და მისი შემდგომი ტურნირებისთვის მოსამზადებლად ვიყენებთ. გუნდი საბოლოოდ ჯერ არ დამიკომპლექტებია. გარკვეულ მიზეზთა გამო შეკრებების მოწყობა ვერ მოვახერხეთ და ნაკრების შეკვრასა და ჩამოყალიბებაზე ახლა ვმუშაობთ. უძლიერეს შემადგენლობას თბილისის შვიდკაცაზე დავაყენებ.

— ბორდოს ეტაპზე გრეგუარ იაშვილმა რატომ არ ითამაშა?

— მას კლუბიდან შეექმნა პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ ამავე ქალაქის გუნდშია. ანალოგიური პრობლემები აქვთ გია ლაბაძეს, ბადრი ხეხელაშვილსა და თედო ზიბზიბაძესაც. ამ უკანასკნელის ბორდოში თამაში ძლივს მოვახერხეთ.

— კლუბები საკომპენსაციო თანხას ითხოვენ?

— არა. უბრალოდ, მნიშვნელოვანი შეხვედრები აქვთ და გვთხოვენ, ნაკრების წევრები დაგუთმოთ. კატეგორიულად რომ მოვითხოვოთ, უარის თქმის უფლება არა აქვთ, მაგრამ ბიჭების მდგომარეობაც ხომ უნდა გავითვალისწინოთ. ასეა თუ ისე, სათბილისოდ მაინც ყველას გამოვიძახებთ.

— ლონდონში უძლიერესი ნაკრებები მოიყრიან თავს?

— რა თქმა უნდა. შემადგენლობა თითქმის იგივე იქნება.

— ქვეჯგუფების კენჭისყრა უკვე შედგა?

— ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. შეიძლება ითქვას, უფრო ძლიერში, ვიდრე ბორდოში ვიყავით. თავად განსაჯეთ, ახალ ზელანდიას, ავსტრალიასა და პორტუგალიას ვეთამაშებით.

— ლონდონისთვის სრულ შემადგენლობას თუ გაგვიმხელთ?

— ორ დღეში. ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული თვითონაც არ ვარ.

— თბილისში როდის ჩამოხვალთ?

— ლონდონის შვიდკაცას დასრულებისთანავე.

ოთარ მაღლაკელიძე

მანუჩარ მარკოიშვილმა გერმანიაში ნატკენი მუხლი საბოლოოდ მოიშუშა და ახლა სრული დატვირთვით ვარჯიშობს ტრევიზოში, „ბენეტონის“ სავრცელებლ ბაზაზე. იტალიურმა გრანდმა ქართველი ფანატაზელი დასრულებული სეზონის შუალედში ვერონეფელებს „მიტელდოიჩერში“ გაანათხოვრა, სადაც ქართველი სათამაშო დროის სიმცირეს არ უჩიოდა და გერმანელთა ქებაც დაიმსახურა. საკუთრივ „ბენეტონს“ კი უიღბლო სეზონი ჰქონდა – იტალიის ჩემპიონობა ვერ შეინარჩუნა და ევროლიგაშიც ჩაფლავდა. „ბენეტონში“ დღე-დღეზე გაიმართება საგანგებო თათბირი, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად მარკოიშვილის ბედიღბალიც გაირკვევა – ისევ გაანათხოვრებენ თუ...

რა საჭიროა თავჰატიჭი?! მანუჩარ, ნაკრებში ხარ

— დარჩენაზე, ცხადია, ვფიქრობ, გერმანიაში ჯორდანი არ გავმხდარვარ, მაგრამ უწინდელზე გაცილებით გაბედულად ვთამაშობ — გვითხრა მარკოიშვილმა იტალიიდან — ახლა მთელი მონდომებით ვვარჯიშობ, მინდა, მომავალ სეზონს „ბენეტონის“ შემადგენლობაში მოვხვდე.

— როდის გადაწყდება შენი საკითხი?

— „ბენეტონის“ ბირთვი ახლა შვებულებაშია. სამწუხაროდ, მათთვის ნაადრევად დასრულდა სეზონი, ნახევარფინალში „სკიპერთან“ დამარცხდნენ. გუნდის ხელმძღვანელები მალე შეიკრიბებიან და სამომავლო გეგმას დასახავენ — რას უმიზნებენ, ვინ სჭირდებათ მომავალი სეზონისთვის და ვის გაუშვებენ... ჩემი ამბავიც ამ შეკრებაზე გადაწყდება და იმედი მაქვს, ჩემდა სასიკეთოდ.

— ვაიდა, ისევ განათხოვრება დაგიპირეს, გუნდი თუ შეარჩიე?

— არა, ჯერჯერობით მაგაზე ფიქრიც არ მინდა. თუ გამანათხოვრებენ, გუნდსაც თავად შემირჩევენ.

— გერმანიაში ნატკენი მუხლი როგორ გაქვს?

— საბოლოოდ მომირჩა. ექიმმა მითხრა, ნურაფრის მოგერიდება, მყესები მწყობრშია და რამდენიც გინდა, იმდენი ირბინეო.

— ესე იგი „ბენეტონის“ ხელმძღვანელობის შეკრებას ელოდები და მერე ალბათ თბილისშიც დაბრუნდები...

— შეკრებას არ ველოდები, უფროსობის გადაწყვეტილებას თბილისშიც გავიგებ, აქ ხვალ ტრადიციული კემპი იწყება და მეც ვმონაწილეობ. ვარჯიშები დასრულდება თუ არა, მაშინვე თბილისში გამოვფრინდები, სასწაულად მომენატრა საქართველო.

— კემპის მონაწილე სხვა ქართველები უკვე ჩამოვიდნენ?

— სამწუხაროდ, ტრევიზოს კემპზე მხოლოდ გიორგი ცინცაძე იქნება ჩვენიანთაგან, რომელიც დღეს ჩამოვიდა. გიორგი მამაცაშვილს ფეხი უტკენია, ვიქტორ სანიკიძეც აღარ ჩამოდის. ამ კემპიზე ჩემი კარგი ნაცნობი პაველ გოოგე იქნება, რომელიც „ბასკოში“ მწვრთნიდა.

— ნიკა ცქიტიშვილიც აპირებდა ტრევიზოს კემპში მონაწილეობას, ოღონდ მასწავლებლის რანგში...

— ის სხვა კემპია. აქვე, ოღონდ ივლისის შუა რიცხვებში გაიმართება.

— იმ კემპშიც აპირებ მონაწილეობას?

— ვაპირებ კი არა, ძალიან მინდა. ივლისის ვარჯიშებზე ცქიტიშვილთან ერთად ნბა-ს არაერთი მოთამაშეც იქნება.

— ივლისში კი ნაკრების შეკრებაა...

— ვიცი და სწორედ იმ დღეს დავრეკე საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში, ჩვენი ნაკრების გეგმები მაინტერესებდა, ტრევიზოს კემპს ხომ არ ემთხვევა-მეთქი. ისე, რაღაც ცუდად გამომივიდა, გამოძახებული ჯერ არ ვიყავი და ფედერაციაში დავრეკე გეგმების გასაგებად. მერე კი მითხრეს, გამოძახებული ხარო, მაგრამ ისე გამომივიდა, თითქოს თავად დავიჰატიჭე თავი.

ირაკლი პერტაია

მანუჩარ მარკოიშვილი სრულად გამოჯანმრთელდა

2004 NBA Playoffs
კონფერენციის ფინალი



REUTERS ფოტოები

რიჩარდ ჰამილტონი და ტაიშონ პრინსი ფინალში გასვლას ხარობენ

ცუდი ბიჭები ცუდად დაბრუნდნენ
ფინალი დეტროიტს ერგო, დეტროიტი ლეიკერსს

1 ივნისი

აღმოსავლეთი

ინდიანა 2:3 დეტროიტი

დეტროიტი 69:65 ინდიანა

დეტროიტი: ბილაფსი (10), ჰამილტონი (21), პრინსი (7), რ. ვოლესი (11 ქულა, 11 მოხსნა), ბ. ვოლესი (12 ქულა, 16 მოხსნა); უილიამსონი (6), ჰანტერი (2), ოქური, ჰემი

ინდიანა: ტინსლი, მილერი (6), არტესტი (11 ქულა, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (4), ონილი (20 ქულა, 10 მოხსნა); კროშერი (12), ჯონსონი (9), ჯონსი (2), ბენდერი (1), ანდერსონი, ფოსტერი

„დეტროიტი" ფინალშია და სულ არა აქვს მნიშვნელობა, ულაზათო და პროზაული თამაშის წყალობით რომ მოხვდა იქ. არც საკუთარი გულშემატკივრები შემოსწყრებიან, აქაოდა, არ გიფრენიათ და ჯაჯგურ-ჯაჯგურით მიაღწიეთ რაღაცასო. იმიტომ, რადგან ეს რაღაც რაღაცაზე მეტია და ამ რაღაცას ავტოქალაქელები 1990 წლის შემდეგ ელოდნენ.

„ჩვენ არ ვიცით, მოიწონებს თუ არა ხალხი ჩვენს თამაშს და საერთოდ, რა თვალით შემოგვხედავს ქვეყანა. გაუშვი, „ცუდი ბიჭები" შეგვარქვან და შეგვადარონ 1989-90 წლების ჩემპიონ „პისტონზს". პირადად მე იმითაც მოხარული ვარ, რომ ამ ულამაზო სერიის ნაწილი ვიყავი და ასე მუშაობა-ჯაჯგურით გავედით ფინალში" — „დეტროიტის" მწვრთნელი ლარი ბრაუნი უჩვეულოდ ენაწყლიანობდა „ინდიანასთან" გადატანილი ექვსბრძოლიანი ომის შემდეგ და აკი ნათლად გამოხატა კიდეც, რომ მთავარი შედეგია და არა სილამაზე.

ბოლო თამაში ზედმეტად უშნო და ანჩხლი გამოდგა. ორივე გუნდს უჭირდა ბურთის ჩაგდება და ნბა-სთვის ასე ქულაღარიბი ანგარიშიც დაფიქსირდა. „ინდიანამ" და „დეტროიტმა" პირველ ტაიმში ჯამში მხოლოდ 60 ქულა ჩააგდეს („ინდიანამ" 33:27 მოიგო) და საპლეიოფო მატჩების პირველი ტაიმების ანტირეკორდიც დაამყარეს. სხვათა შორის, ძველი ანტირეკორდი არც ისე ძველია და მასშიც „დეტროიტის" ხელი ურევია — წლეულს „ინდიანასთან" შეხვედრამდე „პისტონზმა" „ნიუ ჯერსისთან" ერთ-ერთ მატჩში 62-ქულიან პირველ ტაიმში შეიტანა თავისი წვლილი.

არც .მეორე ტაიმში გაიაფებულა ქულები, ყოველი ბურთის ჩაგდება „დეტროიტსაც" და „ინდიანასაც" შრომად და ოფლად უჯდებოდათ და ჯამში 134 ქულა გამოვიდა, რაც მხოლოდ ოთხი ქულით მეტია ნბა-ს პლეი ოფების ყველა დროის ანტირეკორდზე. მაგრამ რადგან ყველაფერი უკანაა, ხოლო წინ ფინალია, ჯანდაბას ყველაფერი.

ლარი ბრაუნის ბიჭები აღმოსავლეთის ღირსეული ჩემპიონები არიან — ბრძოლაში, მაგრამ დამაჯერებლად დაამარცხეს კონფერენციის ორივე ხეირიანი გუნდი, ორგზის ვიცე-ჩემპიონი „ნიუ ჯერსი" და ლარი ბერდისგან ახალ სულშთაბერილი „ინდიანა". ამაში ლიდერის წილი რიჩარდ ჰამილტონმა დაიდო, რომელიც აქამდე ყველას ერთი თამაშის ვარსკვლავად მიაჩნდა, მაგრამ ლარი ბრაუნმა იგი გადააჩვია ყოველ მეორე თამაშში გაბრწყინებას და მისგან ყოველი თამაშის საუკეთესო მექულე გამოთალა. ამ მკაცრი, 40 წლის სტაჟიანი მწვრთნელისთვის ნიჭიერი ბიჭის ვარსკვლავად ქცევა ყოველდღიური სამუშაო პროცესია. ბევრ გუნდში უმოლვაწია და ყველგან დაუტოვებია დიდი მოთამაშე — „დეტროიტამდელ" გუნდში „ფილადელფიაში" ასეთი ალენ აივერსონი იყო, კიდევ უფრო ადრე „ინდიანაში" — რეჯი მილერი.

დღეს ბრაუნის ძველ შეგირდს, მილერს ახალმა, ჰამილტონმა აჯობა. მართალია, მილერი კარიერის დაისზეა, მაგრამ ამას საქმისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს — „დეტროიტი" ფინალშია და მორჩა.

ბოლო ოთხ წელიწადში ეს ბრაუნის მეორე ფინალია — 2001 წელს მან „ფილადელფია" მიიყვანა საჩემპიონო სერიამდე, ეგაა, იქ „ლეიკერსი" ველარ დაამლევინა.

სხვათა შორის, მისი მეტოქე ამ ფინალშიც „ლეიკერსი" იქნება.

[illegible] ყორშია

როლან გაროსი. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 13 263 280 €

პარიზის ქარა მზის ქვეშ
ვაი უილიამსებს!

1 ივნისი. სამშაბათი

ამელის ფობია

როცა რუს ელენა დემენტიევასთან სათამაშოდ გადიოდა, ამელი მორესმოს უმთავრესი მოცილენი, დები უილიამსები უკვე ოტებულიყვნენ — ვინუსი ანასტასია მისკინას გაეგდო, სერენა კი ჯენიფერ კაპრიატის.

კაპრიატი ამელის ბოლო ერთ თვეში ორჯერ — იტალიის და გერმანიის ღია პირველობებზე დაემარცხებინა და ამიტომ მისი იმდენად არ ეშინოდა. აი, მამა რიჩის ზორბა ასულების გავარდნას კი მისთვის ზურგიდან თითქოს დიდი ტვირთი უნდა მოეხსნა...

აპრუწუწუნ, ფრანგთა უკანასკნელ საამროლანგაროსო იმედს ვერც ამან უშველა — სანდომიან ლენასთან გასულს ჩოგანი ისევ აუკანკალდა და შინაური კედლების ფობიას ვერც ამჯერად აჯობა.

ჰო, ჩემს ემოციებთან კიდევ ბევრი მაქვს საჭიდაოო, ამბობდა მერე. არა, ეს კატასტროფა სულაც არ არის, ცხოვრებაში უარესი ამბებიც ხდება, მაგრამ „როლან გაროსზე" ყოველ წელს ერთი და იგივე მემართება და ეს უკვე მაგრად მომბეზრდაო.

არადა, დემენტიევა ნაღდად არ არის ის მეტოქე, ვისი ძლევაც ფრანგ დედათმავალს არ ჩოგანეწიფებოდეს. ისინი აქამდე რვაჯერ შეხვედროდნენ და ამელის, არც მეტი, არც ნაკლები, ქეროსანი ტურფა ექვსჯერ დაეყუმბარებინა.

მაგრამ, როცა სული ამღვრეულია, ყუმბარები სამიზნეს ვერ სწვდება და გუშინწინ სწორედ ამიტომ მოხდა, 22 წლის რუსგოგომ თავისზე ხუთი წლით უფროს მასპინძელს ძალზედ უპრობლემოდ რომ გადაურბინა.

კი მაგრამ, მაინც რა ემართება ამელის მშობლიურ სეფეკორტებზე?

თავადაც ამბობს — ყველაფერი იმის ბრალია, რომ აქ, როგორც არსად, ისე მინდა მოგება. იქნებ ჩემი საშველი იმაშია, რომ სლემტიტული ჯერ სადმე სხვაგან ვიშოვო და ამ თვალსაზრისით კომპლექსმოხსნილმა მერე შინაც გავილაღო.

იქნებ! ფრანგებს კი კიდევ ერთი წლის განმავლობაში მოუწევთ ცდა.

მათგან უკანასკნელი, ვინაც როლანგაროსობაზე იმარჯვა — შორეულ, 1983 წელს — განთქმული იანიკ ნოა იყო.

დათა ოტება

იმის მიუხედავად, რომ დაიკო უილიამსებს შარშანდელი სეზონის მთელი მეორე ნახევარი და წლევანდელის დასაწყისიც ნაოპერაციობის გამო გაუცდათ, იმის მოლოდინი, რომ ამ როლანგაროსობაზე გაიბრწყინებდნენ, მაინც გვქონდა.

ეგ მით უფრო, რომ ტურნირს ერთობ დაუძლურებული ხვდებოდა მათი ბოლოდროინდელი მოსისხლე ჟუსტინ ენენ-არდენი, ხოლო მეორე სუპერბელგიელ კიმ კლაისტერსს ტრავმამ სულაც ტრიბუნაზე დარჩენა აიძულა.

თუმცა ბიცოლა ორასინის გოგოცუნებს შუშპარა და დამაჯერებელი ბურთაობა არც საწყის წრეებში უჩვენებიათ, ხოლო, თუკი ვინუსმა მოგვიანებით მოკეთება დაიტყო, ვარდისფერ სამოსში გამოტიკნილ სერენას უქმობისას მოკიდებული ჟანგი მაინც დასტურ ემჩნეოდა.

საბოლოოდ, სერენამაც ჩაიფლავა, ველარც ვინუსმა ივარგა და ბოლო 41 ტურნირის განმავლობაში ეს პირველად ვნახეთ, ორივე მათგანს ერთსა და იმავე ეტაპზე რომ მოუხდათ საჭურვლის დაყრა.

არადა, სულ რაღაც ერთი წლის წინ უამდებოდ არც ერთი სლემტურნირის ბედი არ წყდებოდა და ორი წლის წინ მათ პარიზულ სეფეთიხნარზე შინაურულადაც წაიფინალეს.

გაზრდილ კონკურენციას და წამოზრდილ რუსგოგონათა შემართებას თუ გავითვალისწინებთ, ამგვარ რასმე ალბათ კიდევ კარგა ხანი ვერ მოვესწრებით. თუმცა ვინ იცის, უიმბლდონამდე დებმა ეგებ იარების მოშუშება და მოსაგებად გამგელება მაინც მოასწრონ.

რაც შეეხება ჯენი კაპრიატის, იგი ტურნირის 2001 წლის ჩემპიონია და სულაც არ არის გამორიცხული, რაღაც ამდაგვარს ჩოგანი ამ ჯერზეც გამოჰკრას — ბოლო ერთი თვეა ის ახალი მწვრთნელის ხელქვეით იწრთობა და 29 წლის კვალობაზე ისე დამაჯერებლად ბურთაობს, კარგა ხანია, არავის რომ უნახავს.

ნახევარფინალში ის ანასტასია მისკინას ხვდება. რუსგოგონათაგან კი უკვე აღარაფერი გვიკვირს და აქ მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ ორი იქაური ქალი რაგინდარა სლემტურნირის ნახევარფინალში ერთად ჯერ არასოდეს მოხვედრილიყო. მოკლედ — ამასაც მოვესწარითო.

კორიამ, კვირაო

სამ სეტში მოგებით ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ ჩემი მიზანი ისაა, ამ კვირას მოვიგოო, ამბობდა გილერმო კორია სამშაბათს კარლოს მოიას სეტისწაუგებლად ძლევის შემდეგ.

ეს მათი მეექვსე შეხლა გახლდათ და მკვირცხლმა გაუჩომ უკვე მეოთხედ შესძლო ტურნირის ოდინდელი ჩემპიონის დამარცხება.

ესენი თიხნარსეზონის უდავო თავადები არიან და საამროლანგაროსოდაც — როჯერ ფედერერის შემდეგ — უმთავრეს ფავორიტებადაც სწორედ მათ მიიჩნევდნენ.

მეოთხედფინალამდე ორივემ განსაკუთრებული პრობლემების გარეშე მიატანა, საკუთრივ მათმა დაპირისპირებამ კი ცხადყო, რომ 22 წლის გაუჩოს ამ საფარზე ახლა ბადალი არა ჰყავს — ის საოცრად შეუპოვარი, მოუღლელი და სტაბილურია და, ეგებ მოიას მრავალფეროვნება აკლდეს, მაგრამ სანაცვლოდ უფრო მიზანმიმართული და მტკიცეა.

ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ყოველთვის იცი, ბურთი საით უნდა წავიდესო, ამბობდა მოია. ის არასოდეს ნებდება და ლამის ყველა ბურთს უკან გიბრუნებს. ამას გარდა, წვიმიანმა კორტმაც დამღუპაო: „მე მზიანი ამინდი, მშრალი საფარი და ცენტრალური კორტი მსურდა, ყველაფერი კი პირუკუ მივიღე."

ჩვენ კი მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ კორიამ ნახევარფინალამდე ისე მიატანა, ერთი სეტიც არ დაუთმია, ხოლო ბოლო მეჩოგნეები, ვინაც იქ ამის გაკეთება შეძლეს, ესპანელები — ალბერტო ბერასატეგი და სერხი ბრუგერა იყვნენ. ეს ათი წლის წინ მოხდა. ხოლო უკანასკნელი, ვინაც (1980 წელს) მთელი ტურნირი სეტისწაუგებლად განვლო, ლეგენდარული ბიორნ ბორგი გახლდათ.

შეძლებს კორია იმავის გამეორებას? სხვებთან ერთად, ეგ უნატიფეს ბრიტანელ ტიმ ჰენმანზეც იქნება დამოკიდებული, ვინაც აქამომდელ რვა როლანგაროსობაზე — ნახევარფინალი იქით იყოს — მესამე წრესაც ვერასოდეც გასცილებოდა. დიახ, საფინალო საგზურის ბედს კორია სწორედ მასთან დავაში გაარკვევს.

ლევან ძელაურაძე



REUTERS ფოტოები

ვინ წარმოიდგენდა? ფრანგთა ბოლო და ყველაზე დიდი იმედი ამელი მორესმო ელენა დემენტიევამ მოსპო

ანა გაკვეთილზე

ანა კურნიკოვა ტრანსატლანტიკურ იახტაზე აღმოჩნდა. საწყლოსნო გაკვეთილი მას თვით უგანთქმულესმა ელენ მაკარტურმა ჩაუტარა, რომელიც მომავალ ორშაბათს ამ იახტით პლიმუტიდან გავა სხვა 36 იახტასთან ერთად, ატლანტიკას გადაკვეთს და ბოსტონს მიადგება. ვარაუდობენ, რომ რეგატას სწორედ მაკარტური მოიგებს. ანას კი ჯერაც არ მოუგია თუნდაც ერთი საჩოგბურთო ტურნირი.

REUTERS პლიმუტიდან

REUTERS კალგარიდან

კოვბოების სამშობლოში

„კალგარი ფლეიმზი“ ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველაზე საპატიო ჯილდოსთვის, სტენლის თასისთვის ებრძვის „ტამპა ბეის“. კალგარი კოვბოობის სამშობლოა, იქაურ ჰოკეის დარბაზს საერთოდაც უნაგირის ფორმა აქვს და უნაგირივე ჰქვია. ამიტომ კოვბოის ხილვა „კალგარის“ თამაშზე საკვირველი სულაც არ არის.

მილანი გაკვალულ გზაზე

ევროპის დიდი კლუბები აზიურ ტურნეებს გაეჩვიენ და „მანჩესტერისა“ და „რეალის“ გზას წლეულს „მილანიც“ გაჰყვა, რომელიც გუშინ შანხაიში იქაურ ჩემპიონ „შანხაი შენჰუასთან“ 0:2 დამარცხდა.

REUTERS შანხაიდან

ორი დღით

სამხრეთ კორეის მშვილდოსანთა გუნდი, ათენის ოლიმპიადისთვის ემზადება, თუმცა იმისთვის კი მოუცლია, რომ ორი დღით ჯარში ჩაწერილიყო და ამით ეროვნული ალტყინების მაგალითი ეჩვენებინა წინაოლიმპიურ ვითარებაში. მწყობრის შუაში თვით სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონი იოუნ მე-ჯინი გაჭიმულა.

REUTERS პუსანიდან

REUTERS ლოს ანჯელესიდან

კვლავ

„ლეიკერსი“ კვლავ თამაშობს, „სტეიპლს სენთერი“ კვლავ სავსეა და ვარსკვლავებიც იქ არიან. „მინესოტასთან“ მეექვსე თამაშზე მეგ რაიანი თავის ვაჟ ჯეკთან ერთად ჩამომჯდარა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხა[illegible]ხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge